ლაშა ბუღაძე

სირაქლემა

პიესა

გმირები:

სპარტაკი - ქმარი
ელენე - ცოლი
ოთარი - შვილი
ესმა - საყვარელი
ტერეზა
ილია

1.

არაფერი ზედმეტი: საწოლი, სკამი, ფანჯარა, სპარტაკი

სპარტაკი. სხვის შეფასებას ვიმეორებ, მიკერძოებულობაში რომ არ ჩამეთვალოს: მე სპეციფიკური ცოლი მყავს. რას ნიშნავს სიტყვა სპეციფიკური? ეს გამოჩნდება. თუმცა სპეციფიკური უფრო მისი ხედვაა, ვიდრე თავად, ის კი იდეალურია, თუკი იდეალად მივიჩნევთ სიკეთეს, კეთილშობილებას, ბავშვურ, შეიძლება ითქვას ნაივურ, ანგელოზურ კეთილგანყობას სამყაროს მიმართ. ის უსაზღვროდ მიმნდობია, არაბუნებრივადაც კი, მას არ გააჩნია ე. წ. ქვენა გრძნობა, მას არ შეუძლია ეჭვიანობა, მას სჯერა და მორჩა... სჯერა. მისი რწმენა აბსოლუტურია. აბსოლუტური სმენასავით. სმენა არ აქვს, სხვათა შორის, მაგრამ ნდობის უნარი - წარმოუდგენლად ღრმა, ყოვლისმომცველი. ეს ჩემი გაულეველი აღტაცების და სინდისის ქენჯნის მიზეზია, რადგან მე წარმოუდგენლად კეთილ ადამიანთან ერთად ვცხოვრობ, ქალთან, რომელმაც არ იცის, რა არის სიცრუე... არ აქვს ეს სიცრუის *ორგანო* და რა ქნას, ასეა. ჩემი სპეციფიკური ელენე. ჩემი იდეალი.

შემოდის ქალი და საწოლზე ჯდება.

ეს არაა ჩემი ცოლი. ეს ქალი ჩემ სხეულებრივ სიამოვნებათა წყაროს წარმოადგენდა არცთუ დიდი ხნის წინ, ახლა პრობლემად მექცა. მე მასთან ვღალატობ ჩემ ცოლს. აი, აქ, ჩვენ სახლში, ჩვენს საძინებელში, და პარადოქსი, იმ დროსაც კი, როცა ჩემი ცოლიც შინაა. აი, ასეთი ამორალური ვარ. და მე ვიტანჯები ამით. თუმცა ეს არ წყინს ჩემ ცოლს, მთავარია, მართლებულად შევურჩიო სიტყვები, რადგან ეს ადამიანი წარმოუდგენლად ენდობა სიტყვებს, ოღონდ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ წიგნიერია

და რაღაცა განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს სიტყვების მიმართ, არა, უბრალოდ სიტყვების ნდობა აქვს. იმათგან განსხვავებით, ვისთვისაც სიტყვები არაფერს ნიშნავს. მაგალითად, ჩვენი მდუმარე და საყვარელი ესმასთვის. ესმა, რას ეძებ? ზოგადად...

ესმა. მე ვეძებ ნორმალურ სამსახურს, შედარებით ნორმალური შემოსავლით, რომ ერთი პატარა ოთახი მაინც მქონდეს ამ ქალაქში, რაიონში არ მიწევდეს წანწალი და შენზე არ ვიყო დამოკიდებული.
სპარტაკი. მე ვიტანჯები იმით, რომ შენ არ ხარ ბედნიერი, მე მტანჯავს შენი სტატუსი - ვგულისხმობ ჩემი საყვარლის სტატუსს, რომლითაც შენ გიწევს ცხოვრება. მაგრამ თავადაც ხვდები, როგორი სპეციფიკური ხედვა აქვს ჩემ ცოლს.

ესმა. მაგ ქალს რაღაც გამორჩეული უბედურება სჭირს, მაგრამ შენ მაინც არ ხარ მისი ღირსი.

სპარტაკი. ვიცი, მაგრამ სულ მთლად დაიღუპება უჩემოდ.

ესმა. მართლა ბავშვივითაა. ზუსტად თქვი. ბოდიში, გისმენდი, რომ ლაპარაკობდი.

სპარტაკი. *(ხმამაღლა)* ელენე!

ესმა. რა გინდა, რადიოს უზის, დაანებე თავი!

სპარტაკი. ერთი წუთით... ელენე! *(ესმას)* მოდი აქ.

ესმა. ვზივარ უკვე.

ქმარი. მინდა, რომ მაშინ მაკოცო, როცა შემოვა.

ესმა. მოდი და მაკოცე. რანაირად დავამთხვიო ახლა! ისე, ეს გარყვნილებაა...

ქმარი. არა, ექსპერიმენტია... ელენე! ამ ბოლო დროს რადიოს ფანატიკოსი გახდა...

ისმის ნაბიჯების ხმა. ქმარი ესმას უახლოვდება.

ესმა. ავდგე თუ დაიხრები?

სპარტაკი. ერთი ადგილის აწევა გეზარება...

ოთახში ელენე შემოდის - გაღიმებული და მართლაც ყველას მიმართ კეთილგანწყობილი. ქმარი ტუჩებში კოცნის ესმას.

მაია. სპარტაკ, მიძახდი?

სპარტაკი. ესმა ძალიან თბილი ადამიანია.

ესმა. *(ხმადაბლა)* წამეშალა პომადა.

სპარტაკი. *(ესმას, ჩქმეტს და მეკრდზე კიდებს ხელს)* ფუშფუშა... *(იცინის)*

ელენე. რა გინდოდა, სპარტაკ?

სპარტაკი. შეიძლება უაზრობად და უდროოდ მოგეჩვენოს ჩემი შეკითხვა, მაგრამ ხომ არ ფიქრობ, რომ ესმა ჩემი საყვარელია? ხომ იცი, რომ მე მას უბრალოდ ვკოცნი, რადგან ძალიან დიდი სიმპათია და რაღაცნაირი ადამიანური, წმინდა მეგობრული დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ? ჩვენ მეგობრები ვართ, ეს გულწრფელი მეგობრობაა...

ელენე. ესმა ხომ არ შეწუხებულა?

ესმა. არა, მე არ ვწუხდები, გენაცვალე.

სპარტაკი. ანუ უბრალოდ ვაკოცე, გესმის? და გავეთამაშე... მეგობრულად. მეტი არაფერი.

ელენე. გასაგებია, სპარტაკ. ესმა, დალევ რამეს?

ესმა. შხამს.

ელენე. უი, შხამი რომ არ მაქვს? თან საშიშია, არა?

ესმა. ვიხუმრე.

ელენე. მივხვდი, კი. *(იცინის)* მაშინ გავალ, საათის ბოლოს საინფორმაციო გამოშვებაა და მოვუსმენ. მხოლოდ რადიოს ვიტან, გამოსახულება მაბნევს... მიგრაციაზეა ძალიან საინტერესო საუბარი. ცივილიზაციების შეჯიბრზე.

ქმარი. გეხვეწები, თავს ნუ გადაიტვირთავ.

ელენე. პირიქით, მართობს. *(იცინის)*

ელენე გადის.

ესმა. ან შენ ადებილებ ამ ქალს ან ის გვადებილებს ყველას.

სპარტაკი. *(გაბრაზებული იყვირებს)* მე არავის არ ვადებილებ, ასეთია და მორჩა!

ელენე კარს კარს აღებს და შემოდის.

ელენე. რა მოხდა, სპარტაკ, ყვიროდი?

სპარტაკი. *(მშვიდდება)* ესმამ გამაბრაზა.

ელენე. რა სამწუხაროა. ასე უცებ რა მოხდა... ცოტა ხნის წინ კოცნიდი. ძალიან გთხოვთ, არ იჩხუბოთ...

ესმა. მე ვერ მომერევა, ელენე, მამაჩემი ძიუდოზე მატარებდა ბავშვობაში, დღემდე მახსოვს ზოგი ილეთი.

2.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე: იგივე ოთახი, ღამე, საწოლი, საწოლზე სპარტაკი და ელენე - ქმრისგან ზურგშექცევით, მოკუნტული (ემბრიონის პოზა).

სპარტაკი. თუ არ გძინავს, რაღაცას გკითხავ, შეიძლება?

ელენე. რთულ შეკითხვას ვერ ვუპასუხებ, თითქმის მძინავს, თუმცა შემიძლია თავი გამოვიფხიზლო.

ქმარი. არა, საყვარელო, მნიშვნელოვანი არაფერია, ასეთი მსხვერპლი არ მჭირდება... *(კოცნის მხარზე)*

სადღაც შორიდან, კედლებს მიღმა, ქალის ხველება ისმის.

სპარტაკი. ეს ოთარი ახველებს ასე?

ელენე. არა, ესმა.

სპარტაკი. *(ხმადაბლა)* ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ განზრახ დააგვიანა ღამის ავტობუსზე, დარჩენა რომ შეძლებოდა. ან შეიძლება მე ვარ ეჭვიანი.

ელენე. არა მგონია.

სპარტაკი. როგორი პოზიტიური ხარ ადამიანების მიმართ, ბავშვივით, რომელიც სამყაროს ენდობა და არ იცის, რამდენი ხიფათი ელის ცხოვრებაში.

ელენე. *(კიდევ უფრო ხმადაბლა)* მადლობა.

სპარტაკი. დაიძინე, საყვარელო. კარგად წევხარ?

ელენე. კი.

ქმარი. შენ გიყვარს ეგ მხარე, ფანჯრისჯენ. უაზრო შეკითხვებს გისვამ. მიყვ...
(სიტყვის დასასრული ესმას მორიგ ხველებაში იკარგება)

3.

ათიოდე წუთის შემდეგ, სრული უცვლელობა, იგივე ოთახი.

სპარტაკი. ელენიკო.

ელენე. ჰო...

სპარტაკი. ვიცი, რომ არ გძინავს, თავი გამოვიფხიზლეთ.

ელენე. ინფორმაციის დიდი ნაკადი მივიღე რადიოდან და შეიძლება ამიტომ. ტვინია აგზნებული.

სპარტაკი. მოდი, ახლა შევეშვათ გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე დარდს და ცოტა მგრძნობიარე საკითხს შევეხოთ. შეიძლება?

ელენე. მგრძნობიარეს - ფიზიკურად თუ სულიერად?

სპარტაკი. მორალურად.

ელენე. *(ქმრისკენ ბრუნდება)* კარგი.

სპარტაკი. შენი პოზით, მოკუნტულობით, ემბრიონალური წოლის მანერით წყენას გამოხატავ, დარდს, შეიძლება საყვედურს. მეჩვენება?

ელენე. უფრო დაფიქრებულობას, სპარტაკ.

სპარტაკი. ანუ არ მეშლება... რაზე ფიქრობ, ელენე?

ელენე. ტერეზამ და ილიამ დამაბნიეს...

სპარტაკი. გასაგებია... შეგიძლია მითხრა, რა გახდა შენი დაბნეულობის მიზეზი?

ელენე. ტერეზამ მითხრა, რომ ესმას ნდობა არ შეიძლება, რომ ის არაა შენი მეგობარი, და თქვენ საყვარლები ხართ.

სპარტაკი. მართლა?

ელენე. კი.

სპარტაკი. და ილიამ რა თქვა?

ელენე. არაფერი, ტერეზას დაეთანხმა.

სპარტაკი. ჰო, აბა რა, იმიტომ რომ თვითონ განუვითარებელი არაკაცია. თუნდაც ამ დათანხმების გამო.

ელენე. შეურაცხყოფას აყენებ?

სპარტაკი. მათთან ყოველი შენი მისვლა დიდი უხერხულობით სრულდება. თითქოს მოწამლული ბრუნდები ტერეზასგან. და თუკი მე და ესმა მეგობრები არა ვართ, აბა, რა ჯანდაბა ვართ მაშინ? შენ თვითონ როგორ ფიქრობ? რა გგონია?

ელენე. ის მგონია, რასაც შენ მეუბნები.

სპარტაკი. ჰო, მაგრამ ტერეზასი და ილიასიც გჯერა.

ელენე. მე შენი მჯერა, მაგრამ ტერეზას შეფასებამ ჩამაფიქრა.

სპარტაკი. მე შენ ყველაფერი მოგეცი, ელენე, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები, ჩემი გული, სული, ოთარი, დიდი სიყვარული - რაც მთავარია, და ყველაზე დიდ ტკივილს მაშინ ვგრძნობ, როცა უნდობლობას ვგრძნობ შენგან, რადგან შენ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებ სხვის მიერ ნათქვამს, ზოგადად სიტყვებს, და თან ვის ნათქვამს?! ტერეზას და იმპოტენტი ილიას...

ელენე. ილია იმპოტენტია?

სპარტაკი. რასაკვირველია, იმპოტენტია! საერთოდ ამებაა ერთგვარი... სერიოზულად ვერც კი აღვიქვამ. ტერეზასადმი დიდი სიმპათიით, მაგრამ რაც წლები მოემატა, დაიბოღმა და ცოტა არ იყოს, შურს ჩემი და შენი ბედნიერების. შვილი არ ყავთ. ილია

ბავშვობაშია ჩარჩენილი და ტერეზას კიდე ენა აქვს აქაფებული, სეირს ეძებს, ჭორაობს და ცილს გვწამებს, რათა ნერვები მოგიშალოს. ნუ გჯერა ყველა იმ სიტყვის, რასაც ისმენ. რამდენჯერ უნდა გთხოვო?

ელენე. ანუ ტერეზას არ ვენდო?

სპარტაკი. არა! და არც ილიას... მე უნდა მენდო!

ელენე. აბა, რატომ მითხრეს ასე?

სპარტაკი. იმიტომ რომ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ. შურიანები არიან. ამას ნუ ეტყვი, რომ ასე ვამბობ. მაგრამ თუკი ტერეზა ჩვენ მეგობრად მიიჩნევს თავს, ეს ჩემთვისაც უნდა ეთქვა. ცაკლე გამოგიჭირეს და ეჭვის თესლის ჩათესვა სცადეს შენს მიმნდობ და სათნო გულში. გახსოვს, რა კარგად გავურჩიეთ ოთარს მავრის ამბავი? ოტელო ეჭვიანი კი არა - გულუბრყვილოა, თორემ ეჭვიანი ადამიანი ყველა სიტყვაში ეჭვს შეიტანდა. არც ამ არამზადა იაგოს ენდობოდა, ბოლოს და ბოლოს... მოდი, ვაკონტროლოთ ეს.

ელენე. კარგი...

სპარტაკი. დაიბრუნე კარგი გუნება-განწყობა?

ელენე. *(ულიმის)* კი.

სპარტაკი. ესმა ჩემი მეგობარია. ეს დავიმახსოვროთ. ამ ეტაპზე მაინც... როგორ არ მიყვარს წამქეზებლობა! ტერეზასგან მეწყინა, თორემ ილია არარაობაა, მით უმეტეს, იმ საქციელის მერე, ზღვაზე, ტერეზას რომ ვიღაც ლოთი გადაეკიდა და ამან სასტუმროში მოკურცხლა... თავი ძლივს დაისხნა საწყალმა ქალმა, და ეს უკვე ლოგინში იწვა, კანდამწვარი და ზედ მაწონწასმული, და ვითომც არაფერი: რა საშინელი კაცი იყო, ტერეზა, რა უნდოდა?! ხუმრობდა... და ეს სულელი, ტერაზაზე ვამბობ, ხმის ამოუღებლად მიწოლილა და უტირია, და ილია, ისევ ვითომც არაფერი: ტერეზა, რამე ტკბილეული ხომ არ გაქვს? ამება. თან - ჭორიკანა.

ელენე. კიდე, იცი, რა მითხრეს, სპარტაკ? შეიძლება, გითხრა?

სპარტაკი. ისევ ამ ჯგუფმა?

ელენე. ჰო. რომ ერევანში ესმასთან ერთად ყოფილხარ დასასვენებლად. და არა გასტროლებზე.

სპარტაკი. გასტროლებზე რა მინდოდა? მივლინებაში ვიყავი.

ელენე. ჰო, მივლინებაში, სიტყვები ამერია.

სპარტაკი. სიტყვების არევ-დარევა არაფერია, მთავარია, სისულელეები არ დაიჯერო. არანაირი ესმა ჩემთან ერთად არ ყოფილა. და რომც ყოფილიყო - მხოლოდ მეგობრის სტატუსით იქნებოდა. მაგრამ არ ყოფილა, შეიგნე. ან შეიგნონ. მათ მე ხვალ პასუხს მოვთხოვ ამ ცილისწამებაზე.

ელენე. უჩივლებ?

სპარტაკი. ილიას ვცემ.

ელენე. მართლა?

სპარტაკი. კი.

ელენე. ილია ხომ ასეთი დაუცველია. არ მიყვარს აგრესია.

სპარტაკი. მე ბოროტი ხალხი არ მიყვარს.

ელენე. კიდე მითხრეს, რომ დებილი ვარ.

სპარტაკი. შენ ხარ დებილი?

ელენე. კი. და რომ დებილად მოვკვდები, თუ ასე გავაგრძელებ.

სპარტაკი. რატომ გაგიმეტეს ასე? ეს ხალხი ასე რამ გაასასტიკა? რა უნდათ? მომისმინე, ხომ გჯერა ჩემი?

ელენე. კი, სპარტაკ.

სპარტაკი. შენ თვითონ დებილად მიიჩნევ თავს?

ელენე. არა.

სპარტაკი. ჰოდა ესაა მთავარი. შენ ხარ ძალიან ჭკვიანი, ძალიან კეთილი და ძალიან ბედნიერი ცოლი. და გყავს შესანიშნავი ოჯახი: შენზე შეყვარებული და მზრუნველი ქმარი, ფიზიკურად ჯანმრთელი შვილი და, მართალია, ცოტა უცნაურობებით, მაგრამ ასე თუ ისე ასატანი მეგობრები. და მთავარი: მე შენი ერთგული ვარ. გაიგე?

ელენე. კი.

სპარტაკი. აღშფოთებული ვარ, ახლა ვერც მე დავიძინებ... წავალ, ესმას დავხედავ, რამე ხომ არ უჭირს, ცუდად ახველებდა. რამე ვირუსი არ ქონდეს. ნეტა ოთარის საძინებლის კარი თუა მიხურული? მივუხურავ და მოვალ.

ელენე. კარგი, სპარტაკ.

სპარტაკი. აწი ერთად წავალთ ხოლმე ტერეზასთან და ილიასთან, ან მეგობრების სიიდან ამოვშლით.

დგება და კართან მიდის.

ელენე. სპარტაკ...

სპარტაკი. რა იყო?

ელენე. კიდე მითხრეს, რომ ბრმა ვარ.

სპარტაკი. ღმერთო ჩემო! გავლახავ მე ამათ... რატომ ხარ ბრმა? ყველაფერს გადასარევად ხედავ. და ამ ხალხს სწორედ ის პრობლემა აქვს, რომ იმის არ სჯერათ, რასაც ხედავენ, პრობლემები იმათ აქვთ და არა შენ. ახლავე მოვალ.

ელენე. კარგი, სპარტაკ.
სპარტაკი გადის.

ელენე ტელეფონს იღებს და რაღაცას ეძებს, დაძაბულია, ბოლოს ჰოულობს და იყურსება, ტელეფონიდან ისმის კაცის ხმა: "საუბარი მეექვსე: იდენტობა და გლობალიზაცია. არავინ იცის, რომელი ნაციონალობა იქნება დომინანტური ჩვენ ქვეყანაში 60-70 წლის შემდეგ... იქნებ ისეც მოხდეს, რომ ქვეყნის სახელწოდება აღარც შეესამებოს ამ ქვეყნის ოდესღაც დომინანტური ეთნოსის სახელს?"

4.

ისევ ბანალური ყოფა. ნაშუადღევს: ელენე და შინ მობრუნებული 13 წლის ოთარი.

ელენე. ოთარ, საშინლად ვინერვიულე, სად იყავი?

ოთარი. რა იყო სანერვიულო, ან სად უნდა ვყოფილიყავი!

ელენე. სად იყავი?

ოთარი. 9 საათიდან სკოლაში ვარ. შეიძლება ხელები დავიბანო?

ელენე. სკოლიდან დარეკეს - ოთარი არ მოსულაო.

ოთარი. ვინ დაგირეკა?

ელენე. სოციალური დისციპლინის პედაგოგმა. ასე გამეცნო.

ოთარი. რაღაც აერია, დედა. ეს ახალი თანამშრომელია, ჯერ-ჯერობით ყველას არ გვიცნობს.

ელენე. სკოლა გააცდინე, ოთარ?

ოთარი. დედა, უკვე მწყინს. არა.

ელენე. აბა, რატომ დამირეკა ამ ქალმა?

ოთარი. სულელია ვიღაცაა, თავის გამოჩენა უნდა და მშობლებს შვილების წინააღმდეგ განაწყობს. შეგიძლია გადაამოწმო, ჩამოურეკო ჩემ კლასელებს და კითხო, ვიყავი თუ არა სკოლაში.

ელენე. არც გუშინ მოსულა და არც გუშინწინო, ოთარ.

ოთარი. დედა, ვის ენდობი - მე თუ ამ შტერ ქალს, რომელიც არც მიცნობს? ანუ სამი დღეა სახლიდან გავდივარ და სკოლაში არ მივდივარ? ასეთი იდიოტი ვარ? აბა, საიდან ეს სილურჯე ფრჩხილებში, საიდან ეს გადაჯღაპნილ-გადმოჯღაპნილი რვეულები? ჯობია სწავლების სისტემა გამოასწორონ, მექანიკურად რომ გვიტენიან თავში წარმოუდგენელ ბოდვებს. დღეს, მაგალითად, რა გვითხრეს, იცი: რომ თურმე ოდესღაც ყველა მდინარე დაშრება და ამავდროულად მთელ ხმელეთს წყალი დაფარავს. მიდი ახლა და ერთმანეთს შეუთავსე ეს სისულელე. ანუ დაშრება თუ პირიქით, წყალი დაფარავს. ჯერ თვითონ გაერკვიონ და სხვებს მერეღა ასწავლონ ჭკუა. წესით, კი უნდა ვაცდენდე, მაგრამ არ ვაცდენ.

ისმის შემოსასვლელი კარის ხმა, სპარტაკი მობრუნდა.

ელენე. მაშინ რატომ დამირეკა ამ ქალმა?

ოთარი. ალბათ, იმიტომ რომ სხვა ოთართან რეკავდა, გგონია, მარტო მე მქვია ოთარი ამ სკოლაში?

ელენე. ანუ იყავი?

ოთარი. დედა, იცი როგორი შეურაცხმყოფელია, როცა არ მენდობი. ვიყავი-მეთქი. დილიდან იქ ვეგდე და ამ ტუტუცებს ვუსმენდი.

შემოდის სპარტაკი - ლუდის ქილით ხელში.

სპარტაკი. სკოლაში არ ყოფილა?

ელენე. არა, თურმე ყოფილა. მასწავლებელს არევია რაღაც.

სპარტაკი. *(შვილს დაეჭვებული უყურებს)* არევია?

ოთარი. კი, მასწავლებლებში საკმაოდ ხშირია ნაადრევი დემენცია.

ელენე. სპარტაკ, გააცილე ესმა? მიუსწარით ავტობუსს?

სპარტაკი. ღვთის მადლით - კი.

ელენე. რატომ შეყოვნდით ასე?

სპარტაკი. ბილეთების რიგი იყო გრძელი და ეგ ხომ იცი, როგორი დაბდურაა. მე მომიწია ჩამოდგომა. ვერაფრით დავეხსენი. *(სვამს ქილიდან)*

ელენე. ტერეზას დაუნახიხართ, რომ კაფეში მსხდარხართ.

სპარტაკი. *(კინაღამ გადაცდება)* ვის?

ელენე. ჰო, უნებლიეთ დაუნახიხართ. ილია კიტრს ყიდულობდაო.

ქმარი. *(ამრეზით)* ესე იგი, ილიას დავუნახივარ... ამ ერთუჯრედიანს. ამ ხალხს ჰალუცინაციები აქვს. რა მინდოდა კაფეში! მთელი დღე აქ გვეჯდა! ელენე, გეხვეწები, შეწყვიტე ამ წყვილთან ურთიერთობა, ეს უკვე სახიფათოა... ახლა დავურეკავ და გამოვთათხავ! *(ოთარს)* შენ მართლა არ იყავი სკოლაში?

ოთარი. და შენ მართლა არ იყავი კაფეში?

სპარტაკი. აი, მოგცხებ ახლა ყურის ძირში, ლაწირაკო მართლა, ენის შემობრუნების გარდა რომ არაფერი უსწავლებიათ ამ სკოლაში, და ორი თვით ადრე რომ გატყობინებენ ფულის ჩარიცხვის თარიღს! *(ელენეს)* მე კაფეში არ ვყოფილვარ!

ოთარი. *(ელენეს)* მე კიდე ვიყავი ამ სკოლაში, ვიყავი! *(გადის)*

ელენე. *(ღიმილით)* და მე სულ სახლში ვარ და საშინელებებს ვისმენ რადიოში.

სპარტაკი. პლუს ამ ეშმაკეულ ტერეზას ტყუილებს. მე რატომ არ მენდობი, არ მესმის... ვერ გრძნობ, როგორ მიყვარხარ?

ელენე. კი, ვგრძნობ.

სპარტაკი. ნუ გადამაყოლეთ ამ ესმას! *(კოცნის ელენეს)* ერთი წუთით გავალ, ბავშვს მინდა დაველაპარაკო... ბოლო თვენახევარია ვატყობ, რომ სწორედ ის დაეწყო მთელი თავისი სისავსით, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა...

ელენე. რა დაეწყო, სპარტაკ?

სპარტაკი. გარდატეხის ასაკი. პროტესტის, უზრდელობის და უტიფრობის ხანა. მასტურბაციაზე აღარაფერს ვამბობ. კეტავდეს მაინც ამ ტუალეტს.

ელენე იცინის.

ელენე. *(პირზე ხელს იფარებს)* არ მჯერა.

ოთარი. უნდა დაიჯერო, ეს უკვე ფაქტია. *(გადის)*

ელენე. რა უცბად გაიზარდა ეს ბავშვი... და სპარტაკიც, პრინციპში. *(რთავს რადიოს, იქიდან მუსიკა ისმის)*

5.

დიდი არაფერი: ოთარის ოთახი. სპარტაკი მორიდებულად აკაკუნებს შვილის ოთახის კარზე, თუმცა პასუხს არ ელოდება, ისე შემოდის.

სპარტაკი. მაპატიე, დაუკაკუნებლად რომ შემოვედი.

ოთარი. რატო, დააკაკუნე და ისე შემოხვედი. ვის ატყუებ.

სპარტაკი. კარგი, რა მნიშვნელობა აქვს. *(პატარა სკამზე აპირებს ჩამოჯდომას)*

ოთარი. ეგ მუყაოსია, გაიხევა. არ დაჯდე.

სპარტაკი. მაშინ ძირს დავჯდები, შეიძლება?

ოთარი. ვითომ თანასწორები ვართ?

სპარტაკი. რას გულისხმობ?

ოთარი. ახალგაზრდულად მოქცევას ცდილობ? როდის იყო, ძირს ჯდებოდი?

სპარტაკი. კარგი, არ დავჯდები, ვიდგები. და აქვე გეტყვი, რომ ძალიან მინდა შენი გალახვა, თუმცა არ ვაპირებ. მერე სახლიდან გაიქცევი, ან ვენებს გადაიჭრი და ამის თავი არ მაქვს. ვხუმრობ. სერიოზულად მინდა დაგელაპარაკო. შეიძლება სხვა დრო უნდა შემერჩია ამისთვის, მაგრამ მგონი გადადება არ ღირს, რადგან ვხედავ, რომ უკვე ძალიან აქტიურად იტყუები, დედაშენი გასულელებული გყავს.

ოთარი. ცინიკოსი ხარ, მამა.

სპარტაკი. მესმის, რასაც გულისხმობ... და თან, მე არ ვარ მამაშენი...

ოთარი. რა?

სპარტაკი. ვხუმრობ... ვერაფრით გადავიწყე თავი სერიოზულ ინტონაციაზე, ამ დროს, ძალიან მინდა. ეს დედაშენს ეხება. და მგონი ამის შესახებ მე და შენ არასდროს გვილაპარაკია.

ოთარი. რა ჭირს დედაჩემს?

სპარტაკი. საკმაოდ სერიოზული და სპეციფიკური რაღაც...

ოთარი. რა, მამა, კვდება? *(ეტირება)*

ქმარი. არა, არა, დამშვიდდი. მას კრიტიკული აზროვნების უნარი არ აქვს. ის კეთილი კრეტინია. მეტი არაფერი.

ოთარი. ლანძღავ, მამა?

სპარტაკი. რას ვლანძღავ, ოთარ, მე ვაღმერთებ დედაშენს. უბრალოდ მინდა იცოდე, რომ მას აბსტრაქტული აზროვნება არ შეუძლია. ვფიქრობ, ამას შენც შეამჩნევდი, უკვე დიდი ბიჭი ხარ. ის პათოლოგიურად გულუბრყვილოა და შენ ამით უკვე სახიფათოდ სარგებლობ.

ოთარი. მამა, არ მიყვარს, როცა ერთმანეთში ურევენ ორ სხვადასხვა რაღაცას (ჩემ სკოლას ამის გამო ვერ ვიტან): აბსტრაქტული აზროვნების უნარი არ აქვს თუ კრიტიკული აზროვნების? ეს სულ სხვადასხვა რამეა.

სპარტაკი. ნუ მეტლიკინები. *(სახეზე ხელებს იფარებს)* მაპატიე, წამომცდა. აგრესიას ვერ ვაკონტროლებ. ნევროზია. მართალი ხარ. დედაშენს არ აქვს განზოგადების უნარი. და არც კრიტიკული ანალიზის უნარი აქვს, როცა რაღაცას ან ვიღაცას ენდობა, მაგალითად, იმას, ვინც უყვარს, მე ან შენ... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და უკვე შემიძლია ეს გითხრა... ოღონდ მართლა არ მეგონა, რომ ამის შესახებ დღეს მომიწევდა შენთან საუბარი. დედაშენს ყოველგვარი ეჭვის და ქვენა გრძნობის გარეშე შეუძლია მამაკაცის შეყვარება...

ოთარი. ქვენა გრძნობა რას ნიშნავს?

სპარტაკი. მერამდენე კლასში ხარ, ოთარ? არ იცი ქვენა გრძნობა რას ნიშნავს? მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობთ? მეზარება ამის ახსნა. არ მინდა, იდეა გამექცეს. ამ ქალს შეუძლია ყველა არამზადას დაუჯეროს, ვინც ეტყვის, რომ უყვარს. მაგრამ ღმერთს მადლობას ვეუბნები, რომ სულით და ხორცით მონოგამიური არსებაა და მე ვუყვარვარ თავდავიწყებით. ანუ არ ცდუნდება, გესმის? თუკი სიყვარულს აუხსნიან, ბრიყვივით დაუჯერებს, მაგრამ მადლობას გადაუხდის და ეტყვის, რომ ქმარი ყავს, რომელიც უყვარს. და ამ დროს მამაკაცი ზოგადად არამზადაა, ოთარ, სიტყვიერად ყველაფერს გპირდება, მაგრამ რეალურად ბანალური ინსტინქტებით მოქმედებს - ქალის შეთრევა უნდა ლოგინში. არ დაგიმალავ, წლების წინ, შენს გაჩენამდე, ნამდვილად იყო ამის საშიშროება, კინაღამ გაასულელეს და ცოდვაში ჩაადგმევინეს ცალი ფეხი, შეიძლება ითქვას, სულზე მივუსწარი, თორემ ბოჩოლასავით მიყვებოდა ვიღაც გარყვნილ არამზადას... ენდო ეს შტერი, რადგან ზოგადად სიტყვებს ენდობა და სკეფსისის ნასახი არ აქვს. და დედაშენი ულამაზესი ქალი იყო ყოველთვის, ყველას მოსწონდა, უბრალოდ მე გამიმართლა და შევუყვარდი, ჩემზე კონცენტრირდა, თორემ ყველა ნაძირალა ისარგებლებდა მისი გულუბრყვილობით.

ოთარი. მამა, ბოდიში, მაგრამ არა მგონია მზად ვიყო ასეთი გულწრფელობისთვის, არ შეიძლება, რომ მომავლისთვის გადავდოთ ჩვენი საუბარი?

სპარტაკი. მეტი რაღა მომავლისთვის, ოთარ, 13 წლის ხარ უკვე! მომავალი არის დღეს. თან არც მე ვარ კარგად, ლოდი მადევს გულზე და მინდა გაგაფრთხილო, რომ ჩემი გზით არ იარო. ეს ქალი წმინდანია და რაც მეტ ტყუილს ეტყვი, მით უფრო გაუბედურდები, მით უფრო დაგრთგუნავს მისი დიდსულოვნება და შენ კი უარესად ჩაეფლობი ტლაპოში. მე თავს საშინლად ვგრძნობ.

ოთარი. მე არ ვატყუებ დედაჩემს.

სპარტაკი. ატყუებ. მაგრამ მე ვერ მომატყუებ, ლაწირაკო, ჩემში დემონი ცხოვრობს და არა წმინდანი, და ამიტომ გადასარევად ვხვდები, რომ სკოლას აცდენ, არ

მეცადინეობ, ცუდი ნიშნები დაგიგროვდა და გაჭედილი ხარ, ყოველდღე რეკავს შენი ფსიქოპატი მასწავლებელი, იდიოტი ხომ არ გგონივარ? დედაშენისგან განსხვავებით, მე სკეფტიკური ვარ...

ოთარი. *(ეტირება)* მე არ ვაცდენ სკოლას...

სპარტაკი. *(შვილს ეხუტება)* ცუდად ვართ, მამა, მძიმედ ვართ, სინდისი გვქენჯნის, გულს გვიჭამს, რადგან სიცრუეში ვცხოვრობთ და აღარ ვიცით, თავს რითი ვუშველოთ, და ამ ქალის სისუფთავით და კრიტიკული უნარის უქონლობით ვსარგებლობთ...

ოთარი. დედა მოკვდება?

სპარტაკი. არა, რატომ უნდა მოკვდეს? რატომ აიჩემე? ეს მე ვკვდები სულიერად. და ცოტა შენც. ოდნავ ნასვამი ვარ, მაპატიე. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ყველაფერს გაიგებ, როგორც კაცმა კაცს, ახლა ისე უნდა მომისმინო...

ოთარი. ესეც დღეს?

სპარტაკი. კი, ფიზიკური თვალსაზრისით მე და დედაშენს გარკვეული გაუცხოება გვაქვს ერთმანეთის მიმართ, ეს ხდება ხოლმე წყვილს შორის, ანუ როგორც ქალი და კაცი იშვიათად ვცხოვრობთ ერთმანეთთან...

ოთარი. მამა, მართლა არ შემიძლია ამდენი გახსნილობის ატანა... თან არ ველოდი, რომ მაინც და მაინც დღეს უნდა გველაპარაკა ამ ყველაფერზე. გულწრფელად მიჭირს...

სპარტაკი. და არ შეიძლება, რომ გადავლახოთ ეს უხერხულობა და ბოლოს და ბოლოს ვაჟკაცურად, გულახდილად გავეხსნათ ერთმანეთს? ჩვენ ხომ კაცები ვართ! მე სიგიჟემდე მიყვარს დედაშენი, მაგრამ რა ვქნა, ავყევი მავნე ჩვევას, წამიერ ჯადოს და ამ აუტანელ ქალთან გავები მახეში... ვგულისხმობ ესმას, რომელიც, ვიცი, არ გიყვარს, რადგან რაღაცას ხვდები, როგორც ინტუიტიური ბიჭი, განა ამიტომ არ მითხარი, რომ ცინიკოსი ვარ?! და ცინიკოსი კი იმიტომ ვარ, რომ ვთვალთმაქცობ, არა? და აი, ახლა გულწრფელად გეუბნები: აღარ შემიძლია ამ სიმძიმით ცხოვრება, წნეხით, რომ მე დედაშენის ღირსი არ ვარ, რომ მე ვსარგებლობ მისი ღვთაებრივი გულუბრყვილობით, მისი სუფთა გულით, ან შეიძლება ეს შუა ასაკის კრიზისია და გადაჭარბებულად აღვიქვამ ყველაფერს, ან შეიძლება იყო და ეს ესმა ამიტომ გამოჩნდა, რათა საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ისევ მამაკაცი ვარ, ჯერ არ დავბერებულვარ, ისევ სასურველი ვარ, ისევ შემიძლია ნადირობა...

ოთარი. ცხოველებზე ნადირობ, მამა?

სპარტაკი. ოთარ, გეხვეწები, ინტელექტუალურად გამომყევი, ისე მომისმინე, როგორც ზრდასრულმა... რა შუაშია ცხოველები?! მე კაცის მონადირე ბუნების შესახებ გელაპარაკები, ალფა-მამრის, ვისაც დაბერების შეეშინდა... და ახლა კი თავს ვეღარ აღწევს ამ ხაფანგს. ნუ ატყუებ დედაშენს! შენ მაინც! შენ ახლა პირველად დაინახავ ცრემლს მამაშენის თვალებზე, ესეც დიდი გამოცდილებაა...

ოთარი. ბევრია, მამა, ერთი დღისთვისთვის... მართლა...

სპარტაკი. *(უნდა რომ შვილმა თვალებში უყურებს)* ხედავ? მაპატიე... ჩემი ბავშვობა მაშინ დასრულდა, როცა ვნახე, როგორ ტიროდა მამაჩემი.

ოთარი. ახლა არ იტირო, გეხვეწები, სამეცადინო მაქვს.

სპარტაკი. *(ისევ შვილს ეხვევა, კოცნის)* გაიზარდე, მემეგობრე, გამეხსენი შინაგანად, თანასწორი გახდი... მე გაგეხსენი, ახლა შენი ჯერია... ეს ასე ხდება... მომიყევი ყველაფერი!

ოთარი. არაფერი არ მაქვს, მამა, მოსაყოლი... ცამეტი წლის ვარ!

სპარტაკი. არ მჯერა! ცამეტი წელი ცოტაა არაა, მით უმეტეს, დღეს... რამე მომიყევი... ძალიან შენი, ინტიმური, ექსკლუზიური... მენდე!

ოთარი. *(დაბნეულია. ეტყობა, რომ არ იცის, რა მოყვეს)* მამა, რთულია ასე...

სპარტაკი. ერთი პატარა ამბავი... ის, რაც მარტო შენ იცი... გავეხსნათ ერთმანეთს! ოთარ, მეწყინება...

ოთარი. მე ერთი წელი ჩვენ სარდაფში ვუვლიდი ძაღლს...

სპარტაკი. ჰო, გენაცვალე...

ოთარი. ჯერ ლეკვი იყო, მაგრამ მე გავზარდე. შენ რომ ფულს მაძლევდი, საჭმელს ვყიდულობდი მისთვის. ერთხელ ფეხსაცმლის ფული მომეცი და არ მიყიდია, ვეტერინართან წავიყვანე ასაცრელად. და იქ სათამაშოები ვუყიდე. მაგრამ მერე ყეფა დაიწყო ღამ-ღამობით და მეშინოდა, ამიტომ უკან, ეზოში გადავიყვანე...

სპარტაკი. და რატომ არ მითხარი, თუკი ჩვენ სარდაფში ზრდიდი?

ოთარი. მეშინოდა, რომ გამიგდებდით.

სპარტაკი. კარგი, ახლა სადაა?

ოთარი. შენ მას იცნობ, ზოგჯერ ეზოში გხვდება ხოლმე და გიღიმის. თუ რაც ქვია. ძაღლები არ იღიმებიან.

სპარტაკი. კარგი, ესაა შენი ინტიმური ისტორია? მეტი არაფერი გაქვს მოსაყოლი? ეს რაღაც საკუთარი თავის იდეალიზებას გავს... გაზარდე - კი ბატონო, შენი საქმეა, რაიმე უფრო ინტიმური არაფერი გაქვს სათქმელად?

ოთარი. *(ფიქრობს)* ჰუნდი ქვია. ასე ვეძახი. ძაღლს ნიშნავს გერმანულად.

სპარტაკი. ბავშვურობაა, ეს არ მაინტერესებს. ან მასულელებ. კარგი, მაგრამ მაშინ მე მაინც უნდა ამოვთქვა შენთან, ხომ მაქვს ამის უფლება?! იმავე თემას მინდა დავუბრუნდე...

ოთარი. ისევ?

სპარტაკი. მომისმინე, ოთარ, ეს მნიშვნელოვანია! ნუ ხარ გაფანტული და ეგოისტური ბუნების! ქალს ეჭვის ჰორმონი არ აქვს, ოთარ, ეს საშინელებაა, აუტანელია, თუკი შეყვარებული ეტყვის, რომ მენდე, ფუნიკულიორის ანძიდან გადავხტეთ, გადახტება. დედაშენზე ვამბობ. ანუ თუ ეტყვის, რომ რაღაც გეგმა აქვს და ამ შემთხვევაში გადარჩებიან, თორემ სიკვდილის ინსტინქტი როგორ არ აქვს, უბრალოდ კრიტიკულობა და ანალიტიკურობა არ უნდა მოთხოვო. და ეს ადრეც იყო, უბრალოდ შენი დაბადების მერე გაუმძაფრდა. უფრო გაკეთილშობილდა თუ გასულელდა ამ მხრივ. ადრე თავის შეგრძნებებს მაინც ენდობოდა. ახლა კი, როცა ცივი შხაპის ქვეშ დგას და მე ვეუბნები, რომ ცხელია, მე უფრო მენდობა, ვიდრე წყლის ტემპერატურას. რამდენჯერ მიქნია ასე და მერე შემცოდებია.

ოთარი. მამა, სადისტი ხარ?

სპარტაკი. არა, უბედური ვარ! და შენ გესმის, რა იქნება, როცა ასაკი მოემატება... უფრო სწორად, მე რა მომივა, თორემ მას ცოდვა არ აქვს, ის ვაშლის გასინჯვამდელ ევასავით მიამიტია... *(იყვირებს)* და აი, ბრაზიანი ღმერთი კი არა და არ მოდის და არ მსჯის!

ოთარი. წადით ფსიქიატრთან!

სპარტაკი. ვიყავით, და ფსიქიატრი ფიქრობს, რომ მე ვარ პრობლემური და არა ის. ის უბრალოდ კეთილია. და სიკეთე არაა ნევროზი! სიკეთისგან განსაკურნებელი ფსიქოტროპული მედიკამენტები არ არსებობს!

ოთარი. და სადაა პრობლემა, მამა, შენ რა გინდა?

სპარტაკი. მე მინდა, რომ არ ვიტყუო და იდეალური ვიყო, როგორც დედაშენი, მაგრამ ეს შეუძლებელია, გულუბრყვილო არ ვარ, და ამ დროს ტოტალური სიკეთე მხოლოდ აბსოლუტური და უვნებელი სიშტერის პირობებში ყოფილა შესაძლებელი, მე კი სკეპტიკური, ეჭვიანი, ამორალური და სულიერად იავარქმნილი, თუმცა გონებრივად დედაშენზე ასჯერ უფრო სრულყოფილი ვარ, დედაშენი ანგელოზია, მაგრამ სწორედ ამიტომ გაჩნდა თუნდაც ეს ესმა, რადგან ეს გაუცხოება აქედანაა - მე ვერ ვტყნავ ანგელოზს!

ოთარი. *(ყურებზე ხელს იფარებს)* მამა! *(ყვირის)* ბევრია... ბევრია...

კარს ელენე აღებს, მის უკან ესმა დგას.

ელენე. ოთარ, რა ხდება, რა გაყვირებს?

ოთარი შემცბარი უყურებს მამამისს.

სპარტაკი. *(ოთარს, ხმადაბლა)* ეხლა მოატყუე. ბოლოჯერ.

ოთარს ეტყობა, რომ პასუხს ვერ იგონებს.

სპარტაკი. *(ელენეს)* მეჩხუბა, სკოლაში ვიყავიო. ნუ მაკნინებთო.

ელენე. ისევ ამ თემას დაუბრუნდით? უცნაურია...

სპარტაკი. თემის რა გითხრა, მაგრამ ესმა ისევ დაბრუნებულა, როგორც ვხედავ...

ესმა. ავტობუსს ძრავა გაუფუჭდა და ხიდთან ჩამოგვყარა, საქალაქთაშორისო ხვალამდე არ გადის. გაწვიმდა და რა მექნა. ამიტანეთ ახლა როგორმე.

6.

თითქოს ზედმეტი ისევ არაფერია, მაგრამ მაინც: ესმა, სპარტაკი, ოთარი და ელენე. ვახშამი.

ელენე. იცით, მგონი შეყვარებული ვარ.

სპარტაკი. *(ოთარს)* არ ინერვიულო. არაფერი არ ხდება.

ოთარი. *(დედამისს უყურებს, მხრებს იჩეჩს)* რატომ უნდა ვინერვიულო?

სპარტაკი. *(ელენეს, თბილად)* ეს რა განცხადებაა... შტერო, ვინ შეგიყვარდა?

ესმა. *(ჭამს)* ქალი თუ ხარ, კაცი უნდა შეგიყვარდეს. აბა, სხვა ვინ.

ელენე. ისტორია, სპარტაკ, ჩვენი წარსული...

სპარტაკი. აჰ... ყოჩაღ. რა პათეტიკაა.

ელენე. ეს ბოლო პერიოდი რაღაც განსაკუთრებით მივეჯაჭვე რადიო-ლექციებს ისტორიაზე, აუცილებლად უნდა მოუსმინო, სპარტაკ, მაგრამ ცოტა შემეშინდა, იმდენი ხიფათია გარშემო. აი, რაზე უნდა ელაპარაკებოდნენ ოთარს სკოლაში. უნდა ვუთხრა იმ ქალს, თუკი კიდევ დამირეკავენ სკოლიდან.

ესმა. როცა მე დავდიოდი სკოლაში, არაფერს არ გვასწავლიდნენ. ძლივს გვასწავლეს ანა-ბანა და მერე გადახოცეს ერთმანეთი მასწავლებლებმა. მაგრამ ბოლო ზარი კარგად მახსოვს. ავუჭრელეთ ზურგები ერთმანეთს. მანდ გამოჩნდა, ვის შეეძლო სუფთა წერა. ძ-ს და ხ-ს ვერ არჩევდა ზოგიერთი. არწყიეს ბიჭებმა, მაგრამ ერთმანეთი არ დაუხოცავთ ღვთის მადლით. ბედნიერი დრო იყო.

ელენე. კიდე კარგად გადავრჩით, რასაც მე ვისმენ და ვუყურებ. ძალიან მავსებს. ადრე არ ვფიქრობდი ამ თემებზე. მაგრამ ძალიან შემიყვარდა ძია თამაზ მეურმის ლექციები.

სპარტაკი. ვისი?

ელენე. თამაზ მეურმის. იცი შენ. ბიო-სოფელი რომ დაარსა. ვეგეტარიანელია. და ძალიან საინტერესო იდეები აქვს.

ესმა. რა დაარსა?

ელენე. ბიოლოგიურად ჰიგიენური სოფელი. ერთხელ რომ მოუსმენ, შეგიყვარდება. მამას ემეგობრებოდა ბავშვობაში, მაგრამ მერე ურთიერთობის ძაფი გაგვიწყდა - სხვაგან ცხოვრობდა. ძალიან მინდა დავუჯერო და ხორცს შეველიოთ, მაგრამ სპარტაკს უყვარს.

სპარტაკი. რამდენი წლისაა ეს შენი თამაზ მეურმე? არ მახსოვს...

ელენე. თავშემონახული მოხუცია.

ესმა. *(ქმარს)* დამშვიდდი?

სპარტაკი. ეს ის ხომ არაა, ლიბერალური დემოკრატია ისტორიის კოლაფსიაო. დემონსტრაციებს რომ მართავს საბავშვო ბაღებთან? საჯარო ლოცვით რომ იწყებენ დილას?

ესმა. ბავშვებს რას ერჩის?

ელენე. პირიქით, ეს აღმზრდელობის ფორმაა. სპარტაკ, მართლა არ გახსოვს ძია თამაზი? მეურმე...

ესმა. მეურმე გვარია?

სპარტაკი. *(უყვირებს)* ესმა!

ესმა. *(შემცბარი)* რა იყო?

სპარტაკი. დავიღალე ამ კომენტარებით...

ესმა იბუსხება.

ელენე. გუშინ საუბრობდა სატელიტური აპარატების მავნე გამოსხივებაზე.

ოთარი. კრეტინია?

ელენე. კრეტინი შენ ხარ, დე. ასე რატომ ამბობ? ბაბუს მეგობარი იყო და ახლა ძალიან ცნობილი პიროვნებაა.

ოთარი. არ მაქვს უფლება, რომ შევაფასო?

ელენე. უსამართლოდ შეუბრალებელი არ უნდა იყო.

ოთარი. ბიო-სკოლა არ აქვს ამ თავის ბიო-სოფელში?

ელენე. არ ვიცი. მივწერ.

სპარტაკი. ვის მიწერ? სად მიწერ?

ელენე. ხალხი შეკითხვებს წერს პირდაპირ ეთერში. და ის ისეთი თბილი და ყურადღებიანია, ყველას პასუხობს. მით უმეტეს - ჩემთან განსაკუთრებული ბმულობა აქვს, სპარტაკ...

სპარტაკი. რამდენი წლისაა?

ელენე. ხომ გითხარი, ხანდაზმულია.

სპარტაკი. შენახული და ხანდაზმული სხვადასხვა რამეა. ცოლი ყავს?

ელენე. არ აჩენს.

სპარტაკი. რას ნიშნავს - არ აჩენს?

ელენე. ასე თქვა: ჩემ ცოლს არ ვაჩენ. იხუმრა. ძალიან კარგი იუმორის გრძნობა აქვს. უი, ნამცხვარი, ხალხო... სულ დამავიწყდა... *(დგება, გადის)*

ესმა. *(ქმარს. ნაწყენი, საყვედურით)* სპარტაკ, დაგაკელი რამე?

სპარტაკი. რა გინდა, ესმა?

ესმა. არა, მიპასუხე, დაგაკელი რამე?

სპარტაკი. *(ანიშნებს ოთარზე)* ესმა, ვვახშმობთ, ავტობუსის ბილეთის რიგში არ დგახარ...

ესმა. აბა, რატომ მაყენებ შეურაცხყოფას? რა გაყვირებს?

ოთარი. მამა, შეიძლება ტუალეტში გავიდე?

სპარტაკი. რას მეკითხები... გეხვეწები, სკოლის ჩვევები სკოლაშივე დატოვე. ადამიანი ხარ და არა ჩვევა-რეფლექსების გროვა.

ოთარი. ანუ შეიძლება...

სპარტაკი. კი.

ოთარი გადის.

ბავშვი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა...

ესმა. სპარტაკ, გამეცი პასუხი...

სპარტაკი. რა გინდა?

ესმა. რატომ მეუზრდელე?

სპარტაკი. იმიტომ რომ არ მიყვარს, როცა გაცილებული უკან მიბრუნდება.

ესმა. ასე რანაირად შეგიშალე ხელი? პატივს გცემ, სიამოვნებას განიჭებ და გვერდით გიდგავარ ადამიანურად. ბინას მე არ გართმევთ და არაფერი. ნათესავი მე არ მყავს. მიმიჩვიე და მოგეჩვიე მეც.

სპარტაკი. ავტობუსს ძრავა არ გაფუჭებია?

ესმა. არა.

სპარტაკი. ანუ მოიტყუე?

ესმა. კი.

სპარტაკი. რატომ, ესმა?

ესმა. იმიტომ რომ მიყვარხარ, სპარტაკ, და ამ სახლში მინდა ცხოვრება. ქალაქის ცენტრში.

სპარტაკი. აი, ესაა მთავარი... მე ცოლი მყავს, ესმა.

ესმა. გყავდეს მერე. გინდა კატა გყავდეს სახლში და გინდა ასეთი ცოლი. დიდი პატივისცემით, მაგრამ ფაქტია.

სპარტაკი. გაეთრიე ჩემი სახლიდან.

ესმა. არსადაც არ გავეთრევი. ავტოსადგურში ვერ დავიძინებ, ვირთხებია.

სპარტაკი. *(სახეზე ხელებს იფარებს)* ღმერთო, რა ცუდად ვარ...

ესმა. აბა, კარგი იყო, რომ მიმიწებე? ქალი ვარ მე და ბუდეს ვეძებ. კეთილი ინებე და ამიტანე ეხლა...

ელენე ბრუნდება. თეფშზე - ნამცხვრით.

ელენე. ოთარი სადაა?

ესმა. ფსამს.

ელენე. *(არ ელოდა ასეთ პასუხს, შერცხვება)* უი.

ესმა. *(იღებს ერთ ცალ ნაჭერს)* რაო თამაზ მესტვირემ, შეიძლება ტკბილის ჭამაო?

ელენე. მეურმემ...

ესმა. მეურმემ, კი ბატონო.

ელენე. არა, ამის შესახებ არაფერი არ უთქვამს.

ესმა. კითხე მერე...

ელენე. სპარტაკ...

ქმარი. ჰო, საყვარელო, რა იყო?

ელენე. რაღაც... დავიბენი.

7.

განსაკუთრებული არაფერი: სტუმრად ტერეზასთან და ილიასთან. ილია იქვე, სავარძელზეა მიწოლილი, სპარტაკი და ტერეზა მაგიდას უსხედან.

ტერეზა. მე და ილია სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ჩვენი არ გვაქვს, შვილები ჩვენ არ გვყავს და საქმე ჩვენ არაფერი გვაქვს, ჩვენი მშობლების ბინებს ვაქირავებთ და ამით გაგვაქვს თავი, ამიტომ, სპარტაკ, არ უნდა გეწყინოს, როცა ცხვირს ვყოფთ სხვის ცხოვრებაში, სხვა, აბა, რა დაგვრჩენია? აღარც ახალგაზრდები ვართ. თუ ვინმეს გამოვადგებით ჩვენი რჩევებით, ხომ კარგი, თუ არა და, თავს მაინც გავირთობთ, თორემ მოწყენილობისგან ერთმანეთს გადავხოცავდით, სახლიდან არც გავა, ხილ-ბოსტნეულის საყიდლად თუ არ გავაგდე, ეგ უყვარს - ვაჭრობა და გამოთხოვრება, კიდევ კარგი, ენაც გვიჭრის და თვალიც კარგი გვაქვს, ილია მოდუნდა ცოტა ამ ბოლო დროს, წონის გამო, მაგრამ ისე არაფერი დაეწუნება - ძველებურად კარგად ჩაგიკაკლავს ყველაფერს, რაც იცის და არ იცის, არა, ილო?

ილია. *(თვალდახუჭული წევს)* ალაჰი დიდია...

ტერეზა. თავი გტკივა?

ილია არ პასუხობს.

სპარტაკი. *(ხმადაბლა)* ტერეზა, ილიამ რჯული შეიცვალა? არ ვიცოდი...

ტერეზა. საიდან მოიტანე? ალაჰი დიდიაო, ეს რომ თქვა? რაღაცა სერიალს უყურა და აყვა ეხლა იმათ... მოწონს ეხლა ასე ლაპარაკი, თორემ სად აქვს ამას რამე რჯული, შეცვლა რომ მოუნდეს! *(ჩურჩულით, ღიმილით)* ათეისტია ვირიშვილი მამამისივით... *(იცინის)* კარგი. აბა, რა ხდება, მითხარი, რას უპირებ ამ შენ ცოლს? გინდა, სულ გამოათაყვანო? ან იმ ქალს რას უპირებ, სახლში რომ დაისვი. მდივანია? დამლაგებელია? ცოლია? ვინაა? ბიჭი გაგექცევა ბინიდან, ვერ აიტანს ამდენ უმსგავსობას. დედის კვალზე ხომ არ მიდის ეგეც? არჩევს ტყუილ-მართალს?

სპარტაკი. იცი, აქ რატომ მოვედი? შეიძლება პირდაპირ გითხრა?

ტერეზა. პირდაპირ უნდა მითხრა, რა თქმა უნდა! ილო, ჩაუწიე ტელევიზორს! *(სპარტაკს)* ისე, ვეუბნები, ყურადღება არ მიაქციო, ვეხუმრები ჩემი ჭკუით... ეკრანი გატეხა ორი თვის წინ და ვეღარ უყურებს. აბა, ბრძანე, რა გინდა.

სპარტაკი. მე მინდა, რომ ჩემ ცოლს თავი დაანებოთ. ყველამ.

ტერეზა. მოუნდომა! გაიგე, ილო?!

ილია ხვნეშის.

ტერეზა სპარტაკს თვალს უკრავს.

ჩაერთო, მოეწონა ეს თემა...

სპარტაკი. აბსოლუტურად სერიოზულად გთხოვთ. საერთოდ, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რამდენად სწორად მოვიქეცი, აქ რომ მოვედი, მაგრამ ხომ ხედავ ამ ხელებს, ტერეზა?

ტერეზა. უნდა მომცხო, რა იყო? ილო, მიშველე!

სპარტაკი. არა, აი ახლა ჩემ ბედს, ჩემ ცხოვრებას ჩავაფრინდი ამ ხელებით და არ მინდა გავუშვა. კრიზისული ასაკი მაქვს, მყავს პრობლემური ცოლი, და სხვების დახმარების გარეშე, გულისტკენების, სხვების რჩევების და ვითომ-ზრუნვის გარეშე...

ტერეზა. ცოლს რომ გულს ტკენ, ეგ ტკენად არ ითვლება?

სპარტაკი. მოდი, მე და ჩემი ცოლი გადავწყვეტთ, ვინ რას ვტკენთ...

ტერეზა. კარგი, სანამ შენ ზნეობრივ საკითხზე ვისაუბრებდეთ, შენის ნებართვით, მანამდე შენ ცოლზე გეტყვი რაღაცას... დიდი არაფერი, მაგრამ მაგ ქალს რომ

ვუყურებ, ისეთი ცალმხრივია - კარგი გაგებით (ან შეიძლება ცუდით, არ ვიცი), - მეშინია, ვიღაცა ვიგინდარებს არ გადაეკიდოს. მიკვირს, კიდე როგორ მოვიდა აქამდე.

სპარტაკი. ტერეზა, რატომ აძლევ შენ თავს იმის უფლებას, რომ ამდენი შეურაცხყოფა მოგვაყენო მე ან ელენეს?

ტერეზა. გესმის, ილო? და მომაყენე მერე შენც შეურაცხყოფა, თუკი ასე გწყინს. შენი ფეხით მოხვედი და რას ითხოვ - ის გითხრა, რისი მოსმენაც შენ გინდა? არ გამოვა, სპარტაკ. მოდიხართ აქ ცოლ-ქმარი და გწყინთ მერე, სიმართლეს რომ გეუბნებით. აი, ასეთები ვართ-თქო მე და ეს კაცი - გიყურებთ, გაფასებთ და ხმამაღლა ვამბობთ, რა მოგვწონს და რა - არა. არ არის ეს ჩვენი საქმე? არ არის, მართალია, მაგრამ ვინ აგვიკრძალავს ლაპარაკს? მინდა და ვლაპარაკობ. შვილი მე არ მყავს და არაფერი... მეჩხუბები? მეჩხუბე. გალახავ ილოს? გალახე, აბა. ილო, თვალში ეპატარავები შენ ამას... ჩემკენ გამოიწევ? აგერ, ტაფას ხომ ხედავ... არა, ვერ ხედავ მაქედან... ცუდად ზიხარ. მოკლედ მიიღებ კინკრიხოში. გავილექსე. ახლა მთავარი... შენი შტერი ცოლი ნაციონალისტების მიტინგზე დავინახე გუშინწინ. უფრო სწორად, ილომ დაინახა, კვერცხს ყიდულობდა, და ამიტომ ჩათვალე, რომ მე დავინახე... ხო იცი, ვინ არიან ეგენი? ნეოპოპულისტები. საშიში ხალხი.

სპარტაკი. *(ვითომ ეცინება)* და ჩემი ცოლი იყო ამათ მიტინგზე? ილია, დარწმუნებული ხარ?

ტერეზა. კი, კი, დარწმუნებულია. *(ილიას)* ამოიღე ხმა!

ილია. ალაჰი დიდია!

ტერეზა. სერიოზულად გეკითხება, კაცო, მორჩი ამ მატრაკვეცობას! *(სპარტაკს)* ბავშვია... მოკლედ, ნახა. კიდევ ერთი: შენ ეტყობა პრესას არ ეცნობი, არც რადიო-სიახლეებს უსმენ, იცი, ვინ აფინანსებს ამ ნეოარამზადებს? სპეცსამსახურები დგანან მათ უკან. ხელოვნურად ბუქავენ ისეთ თემებს, შენი ცოლისნაირები რომ წამოეგონ. ანტიგლობალიზაცია, ანტიკომუნიკაცია, ანტივიზები, მსოფლიო კორპორაციები და სხვა... რომ ვითომ ჩვენი ნაციონალური "მე" უნდა წაგვართვან და მომსახურე-რობოტებად გვაქციონ. ოღონდ ეს მიტინგი რის გამო იყო, ილო? უთხარი ამ ვაჟკაცს. რომ ყვითელკანიანებმა დატოვონ ჩვენი ქალაქი. რასიზმი. სად ნახეს ამდენი ყვითელკანიანი? ილოს ბოტკინი ქონდა ბავშვობაში, აი ყვითელი კანი მაშინ ქონდა თუ ქონდა. და ეს შტერი იქ იდგა. ხომ გიხსენა უკვე ის მეურმე, სათნოების განსახიერება? ძველი ჯაშუში. ათას... ერთ ადგილზე გადამხტარი, ბოდიში. ტვინი გამოგვილაყა მაგაზე ლაპარაკით. დღე და ღამე მაგას უსმენს. ამ ფაშისტების ნაწილი მაგისი ბიო-სოფლის ასოციაციის წევრია. ერთი მძღ... ბოდიში, ერთი ნეხვია მოკლედ. დიდი ქსელია. ახლა რატომ მიეწება ამ მეურმეს? მაგას თუ ვინმე არ უყვარს - არ უჯერებს, ეს იცი. და ეს პრო... ბოდიში, არაკაცი მამამისის კლასელია თუ გახსოვს,

ვიგინდარა, და მამამისი ძალიან უყვარდა ამ ბოთეს, თუმცა ადრე რომ არ მოკვდომოდა, შეიძლება მიმხვდარიყო, რა ნაძირალაც იყო, კომბინატორი, ამ სიტყვის ძველი გაგებით... ილოს მამა იცნობდა, მაგაზე დიდი მექრთამე არ არსებობდაო, არა, ილო? მაგრამ მკვდარია ის კაცი, ამას უყვარს და აი, მიაბა ახლა ამ მეურმეს. ეს ფსიქოლოგიური მხარე. დანარჩენი - რეპუტაციაა. ნეორასისტების მიტინგზე რა უნდოდა? რა დაუშავეს ყვითელკანიანებმა? და ვინაა ყვითელკანიანი? ჩინელი? ორ მილიარდს უტევენ ეს კუანები? ბოდიში, ჭიაყელები? ვის რად უნდა ეს ჩაჯმ... ბოდიში, ჩასვრილი ქვეყანა? ვის უნდა, კარგად ვიცით, და ვისზე მუშაობენ ამ თემებით ბოლშევიკების სპეც-სამსახურები! ამიტომ - აკონტროლე. რაც შეეხება შენ რეპუტაციას, ჩემი და ილოს აზრი კი იცი ამ საკითხის შესახებ. კარგად არ დამთავრდება ეს ამბავი. თან პრობლემური შვილი გყავთ, სკოლას აცდენს, საგნებში ჩამორჩენა აქვს, განვითარებით ვერ ეწევა თანატოლებს, რადგან სტრესული სიტუაცია აქვს ოჯახში, დაბალიცაა... შეხედე მაგისი ასაკის ბიჭებს, რამხელები არიან! ზრდა შეუჩერდა ბიჭს, მხრებში აქვს თავი ჩავარდნილი, დაუხვეწავი კიდურები, - და სანამ ლაპარაკზე არ უთქვამს უარი - ესეც დეპრესიული პროტესტის ფორმაა, - და წყალი არ ჩაუგუბებია იმ მოკუმულ პირში (წვრილი ტუჩები კი აქვს შენსავით, დედას არ გავს), რამე იღონე. ილოს ნუ უყურებ, ეს ბევრ თქვენგანზე განვითარებულია!

სპარტაკი. არ ვუყურებ...

ტერეზა. ძალიან კარგი! რას ჩამოუსვი ეს კახპა სახლში, მე შენ გეტყვი, დიდი სახლი გქონდეთ, ფეხებში რომ ებლანდებით ერთმანეთს! შენი სიმამრი კი იყო მექრთამე, მაგრამ თავისთვის უნდოდა ყველაფერი, ქალიშვილისთვის სამ-ოთახიან ბინაზე მეტი ვერ გაიმეტა, ნაგავი ეგა! ან შენ რას გავხარ? 46 წლის კაცი 70 წლის ბერიკაცივით გამოიყურები, პირს ვერ მუწავ, სუნთქვის პრობლემა გაქვს? თვალებიც გადმოკარკლული. ჰა, შეგახსენა თავი პროსტატის ჯირკვალმა თუ უკულტურო ხარ და მარადიული ჯანმრთელობის გწამს? ვერ მოგართვი. აგერ, ილო დავკოდეთ და გაიბერა ბუშტივით. *(ღიმილით, ეშმაკურად)* ვხუმრობ, ვიწვევ, რომ ყურადღება მოგვაქციოს... გგონია, მარტო სხვების მიმართ ვარ შეუბრალებელი? გინდა მოგიყვე, საკუთარი თავს როგორ ვროზგავ დღენიანაგ? გინდა პირი დავაღო და დაგანახო, სადამდე წავიდა ჩემი კარიესი?

სპარტაკი. არა. უბრალოდ გთხოვ, მამაშვილურად... თუ დედაშვილურად... არც ვიცი, ამას რატომ ვამბობ, რა შუაშია, მაგრამ არ ისარგებლო იმით, რომ ჩემ ცოლს უყვარხარ...

ტერეზა. მე არ ვისარგებლებ, ამას შენ სარგებლობ ცუდად.

ილია. *(გმინავს)* ალლაჰ!

რა იყო, ილია?

სპარტაკი. ტერეზა, დარწმუნებული ხარ, რომ შენმა ქმარმა რჯული არ შეიცვალა?

ტერეზა. მაიმუმობს, კაცო! მასხრობს... რჯული, აბა, მეტი საქმე არ აქვს! შენ შენს მრწამს მიხედე, ამორალურო, და შენ შტერ ცოლს, ნეონაციონალისტების ჭკუაზე რომ დადის და აზრზე არაა არაფრის! მომინდობა ბიოსოფელი ამ კაციჭამიებში! ილო, დაგივარდა რამე? რას ეძებ? ჩადი მაღაზიაში, ნესვი იყიდე! ხომ გიყვარს მრგვალი ხილი? *(იცინის, სპარტაკს)* ჯამბაზი... ხედავ, რა დღეში ვარ? *(სერიოზულად)* ოჯახს მიხედე, სპარტაკ, ჩვენ აწი აღარაფერი გვეშველება, აბა...

8.

უკვე გადაჭაბეებით: ელენე მაგიდას უზის და გულმოდგინედ იწერს რაღაცას. სპარტაკი ქოლგას დებს კუთხეში, ეს-ესაა მოვიდა.

ელენე. სად იყავი, სპარტაკ?

სპარტაკი. პროფკავშირის სხდომაზე.

უნიტაზში ჩარეცხვის ხმა ისმის.

ოთარი სახლშია?

ელენე. სკოლაშია...

სპარტაკი. *(ეჭვით)* სკოლაში, კი... აბა, ვინ ჩარეცხა ეხლა უნიტაზი?

ელენე. ესმამ.

სპარტაკი. ა! ჰო... იცი, დაბლოკილი ყავს ჩემ მეხსიერებას. არ მინდა, რომ აქ იყოს და ამ დროს არის. მოგატყუე, ელენე. არანაირ სხდომაზე არ ვყოფილვარ - მით უმეტეს, პროფკავშირის, ან რა მინდოდა პროფკავშირის სხდომაზე! სად მე და პროფკავშირი? სასაცილოა! ტერეზასთან და ილიასთან შევიარე, ბევრი სისულელე მოვისმინე, მერე გაწვიმდა და გავიწუწე, ილიამ, ჩემი აზრით, ისლამი მიიღო, ან კიდევ უფრო მეტად აერია რაღაც ტვინში, თუკი ადრე იდიოტი იყო, ახლა სახიფათოც ხდება, თუმცა რატომღაც ტერეზა არ აღიარებს ამას, მიიჩნევს, რომ ილია ხუმრობს... რა სახის თავდაცვაა, არ მესმის. თუმცა მე ეს მაინტერესებს, რა მნიშვნელობა აქვს ამება ქრისტიანი იქნება, მუსლიმანი თუ იუდეველი?! მეტიც, შეიძლება ილიას სწორედ ახლა გახდეს საინტერესო, თორემ უშინაარსო არარაობა იყო ყოველთვის, ახლა წესებს მაინც დაიცავს... ღმერთო, რატომ ვყვები ამ ყველაფერს?! მე ხომ ეს არ მეხება...

შემოდის ესმა.

ესმა. ქალო, ტუალეტის ქაღალდი დამთავრე... *(ხედავს სპარტაკს)* უი, მოხვედი? არ ვიცოდი...

სპარტაკი. ესმა, ერთი წუთი დაგვტოვე თუ არ შეწუხდები. ჩახედე ავტობუსების განრიგს, უმორჩილესად გთხოვ.

ესმა. დავიზეპირე უკვე... კარგი, ბოდიში, ბატონო. *(ნაწყენი გადის)*

სპარტაკი. ელენე, საყვარელო, მართლა იყავი ნეონაციონალისტების მიტინგზე?

ელენე. სად?

სპარტაკი. ანტიყვითლების... აქციაზე წითელკანიანების წინააღმდეგ.

ელენე. წითელკანიანების?

სპარტაკი. ყვითელკანიანების-თქო, უკაცრავად... ჩემთვის ყველა ერთი ფერისაა.

ელენე. სპარტაკ, თუკი იმ მიტინგის შესახებ მეკითხები, რომელიც ანტიასიმილაციურმა სახალხო მილიციამ ჩაატარა, კი, ვიყავი... რა მოხდა? აი, ახლა ბიო-სოფლის მეგობართა ჯგუფის კითხვარს ვავსებ: ქვეყანა თუ ტერიტორია... რა არის ამაში ცუდი?

სპარტაკი. რა კითხვარია, საერთოდ რითი ხარ დაკავებული? ეს ამ ვიღაცა თამაზ მეურმის ბიო-სოფლის მაქინაციებია? ან ეს რა მილიციაა?

ელენე. ტარიელ მეურმის... და რატომ მაქინაცია?

სპარტაკი. ეს ტარიელი მართლა იური ბიძიას ბავშვობის მეგობარი იყო?

ელენე. კი, ტარიელი და მამაჩემი ჯგუფელები იყვნენ სასოფლო-აგრარულ უნივერსიტეტში, იურიმ მეორე შვილიც მოუნათლა.

სპარტაკი. წლებია არ გიხსენებია...

ელენე. ზუსტად 11 წელი არ მყავდა ნანახი, ატლანტაში ცხოვრობდა, მერე ნალჩიკში, თვითონ მომძებნა...

სპარტაკი. არ გეჩვენება, რომ საეჭვო თანმიმდევრობაა, ჯერ ატლანტაში ცხოვრობდე და მერე ნალჩიკში?

ელენე. არა. რატომ?

სპარტაკი. და რას ნიშნავს - თვითონ მოგძებნა? როდის? რატომ?

ელენე. იურის ფოტო მოიწონა ჩემ გალერეაში. და, მეთქი, უი, ძია ტარიელ... და არ უპასუხია. მერე მაგისი აუდიო-ლექციების კითხვა დავიწყე, მოვუწონე, და მომწერა ბოლოს: შენ ჩემი იურის გოგო ხარო? ძალიან ვუყვარდი. სილამაზის კონკურსი მოაწყო, როცა 14 წლის ვიყავი და მეორე ადგილი დავიკავე. ეს ისეთი სათუთი მოგონებებია ჩემთვის. ყოველთვის რაღაცა საინტერესოს იგონებდა და აი, ახლა კი რამხელა მოღვაწეა. ისე მიყვარდა. მე ხომ არავინ დამრჩა მამას თაობიდან.

სპარტაკი. მექრთამეების თაობიდან ანუ...

ელენე. ბატონო?

სპარტაკი. არაფერი, უბრალოდ არ მესმის, რატომ დაბრუნდა...

ელენე. ძალიან უყვარს აქაურობა და ამიტომ...

სპარტაკი. ნალჩიკში დაბრუნდა. აქ დავალებით არის ჩამოსული.

ელენე. დავალებით არა, სიყვარულით, მოუსმინე და ნახავ.

სპარტაკი. მოვუსმინე უკვე და გადასარევი წარმოდგენა შევიქმენი მის შესახებ. მთელი ეს ნაციონალისტურ-ბიოპოლიტ-ტექნოლოგიურ-ბიომილიციური შანტრაპა შენნაირების გასასულელებლად არის მოგონილი - ლაპარაკობენ ძველ დიდებაზე, სუფთა სისხლზე, ჰიგიენურ სახელმწიფოებროვობაზე და ვითომ ჩვენს თვითმყოფადობაზე, და ამ დროს სპეც-სამსახურების აგენტები არიან და იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ ქაოსს ქმნიან, შენ კიდე ვერ ხვდები, რადგან ამათი ხმაურიანი სიტყვების გჯერა, კაცი რომ გაიძახის - მიყვარს ეს ქვეყანა და გავათავისუფლოთ ყვითელკანიანებისგან, სტაფილოსფერკანიანებისგან და კიდევ არავინ იცის, ვისგან - ხბოს თვალებით შეჰყურებ, უფრო სწორად, ხბოს ყურებით უსმენ - ხომ აქვს ხბოს ყურები? - და იჯერებ, რადგან ენდობი და შეგიყვარდა, და ენდობი იმიტომ, რომ ძია იურის კლასელი ყოფილა ეს სპეც-ჯაშუში მეურმე-მესალამურე, და რაც მთავარია, ინფორმაციის კრიტიკული გაცხრილვის უნარი არ გაქვს...

ელენე. სპარტაკ, რატომ მაყენებ შეურაცხყოფას? ბატი ვარ შენი აზრით? აზროვნების უნარი არ მაქვს და მარტო შენ ხვდები ყველაფერს? ამ ბოლო დროს ძალიან შეუბრალებელი გახდი...

სპარტაკი. შეუბრალებელი კი არ გავხდი - მებრალები, ელენე, და ახლა კიდევ უფრო სხვანაირად ავღელდი...

ელენე. სპარტაკ, რატომ გგონია, რომ კრიტიკული აზროვნების უნარი არ მაქვს? იცი, ეს როგორ მწყინს...

სპარტაკი. აბა, რა გინდოდა ნეომილიციონერების მიტინგზე? თუ რა ჯანდაბას უწოდებენ ამ მუტრუკების გაერთიანებას? რატომ გჯერა ამ ვიგინდარა ტარიელ მეურმის? რა კითხვარს ავსებ? რა უფლებით მიიღე მონაწილეობა სილამაზის კონკურსში 14 წლის ასაკში? ეს პირველად მესმის... რა კონკურსი იყო ასეთი - პედოფილის ოცნება...

ელენე. ვინც მე მიყვარს, ყველას ლანძღავ, სპარტაკ, და მერე თვითონ გარბიხარ იმათთან... აი, როგორ გათათხე ტერეზა და საწყალი ილია და დღეს იქ მისულხარ, ეხლა ბიო-სოფლებებს ლანძღავ, ძია ტარიელს და ამ მართლა წესიერ და პატრიოტ ბიჭებს...

სპარტაკი. მართლა ვერ ხვდები, რომ ეს ვითომ პატრიოტები სინამდვილეში უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურების დამქაშები არიან და ჩვენ უზენაეს საბჭოში უნდათ შეღწევა დელეგატების მანდატებით?!

ელენე. შეაღწიონ მერე. ცუდს რას ამბობენ? დაგლიჯეს და გააპარტახეს ეს ქვეყანა და ამათ უყვართ მაინც. მოუსმინე, როგორი სიყვარულით ლაპარაკობენ ქვეყნის შესახებ... სულ რომ ლანძღავენ შენნაირები. *(ციონის)* არ გეწყინოს... ვიცი, შენც გიყვარს ეს ქვეყანა...

სპარტაკი. ვერ ხვდები, რომ ეს პოპულიზმია? რომ საფრთხეა ნაციონალიზმი? მათი უზენაეს საბჭოში შესვლა და მტრული ქვეყნის მეხუთე კოლონის, ანუ დაფინანსებული მოღალატეების ოფიციალურ ძალად ქცევა - ერთი იქნება...

ელენე. რატომ, სპარტაკ?

სპარტაკი. ვერ ხვდები, რომ პატრიოტიზმი, ტრადიციონალზმი და რელიგიური კონსერვატიზმი მათი ნიღაბია?! ტყუილია! სინამდვილეში, ვინმე თუ ებრძვის, ეგენი ებრძვიან ჩვენ იდენტობას, ჩვენ სუვერენიტეტს, ელენე... არ მეგონა, თუკი ამ თემებზე მომიწევდა შენთან ლაპარაკი... რამე ბიოწამალს ხომ არ გასმევს ეს პედოფილი მეურმე?

ელენე. როგორ ებრძვიან, სპარტაკ, როცა მზე და მთვარე ამოსდით ჩვენ ქვეყანაზე, ჩვენ ისტორიაზე, გინახავს ძია ტარიელის ბიო-სოფელი? ან რა ყველს ამზადებენ, ან როგორ რძეს ასხამენ... რა უნდა დამალევინონ? როგორ გეკადრება! ლოცვით იღვიძებენ და ლოცვით იძინებენ...

სპარტაკი. გული მერევა!

ელენე. აი, ასეთი უნდა იყოს მსოფლიო... ბედნიერების და სიყვარულის ტერიტორიაა. გადასარევი აუდიო-ლექცია აქვს "მოუარე ერის ტანს". თუ სხეულს... დამაბნიე უკვე. და თუ პოლიტიკური მხარდაჭერა არ ექნებათ, ბიო-სოფელი მხოლოდ ლამაზ სოფლად დარჩება... ეს ბიჭები კიდე იცავენ ამ პრინციპებს და მე მგონია, რომ ხმაც უნდა მივცეთ არჩევნებზე. დიახ, ეს სახალხო მილიციაა, პატიოსანი ბიჭებით დაკომპლექტებული და იყვნენ უზენაეს საბჭოში, რა მოხდა! გულწრფელები და გულანთებულები მაინც არიან. ნახე, როგორ ლაპარაკობენ!

სპარტაკი. ანუ ხმასაც აძლევ?

ელენე. კი, იმიტომ რომ მჯერა ამ ხალხის. და მხარდამჭერებს ვუგროვებ. შეძლებისდაგვარად. არ მითქვამს შენთვის, არ მეჩხუბოს-თქო. უკვე მეშინია, გეფიცები. დავიარე მეზობლები. იცი, რახან ავლაპარაკდით, მოდი, გულწრფელად გეტყვი: სულ ვეძებდი რაღაცას და აი, ვიპოვე, მიზანი ვიპოვე ჩემ ცხოვრებაში, ჩემი ადგილი, საქმე, თორემ აბა ოთარი გაიზარდა, კარგად სწავლობს, შენ შენი სამოღვაწეო სფერო გაქვს, გასტროლებზე დადიხარ, ბოდიში, მივლინებებში, მაგრამ ფინანსურად მთლიანად შენზე ვარ დამოკიდებული... ის თემები, რომელიც მე მაწუხებს, შენ არ გაღელვებს, და აი მე კიდე ძალიან შემეხო, სპარტაკ, არ მიყვარს ის ხალხი, ვისაც არც გარემო უყვარს, არც ქვეყანა და არც ჩვენ ვუყვარვართ, - ერთ თბილ სიტყვას ვერ გაიგონებ ამ ცინიკოსებისგან, - და ძლივს გამოჩნდა ხალხი, ვინც ღიად ამბობს: ჩემი ქვეყანა საუკეთესოა, ყველა ნაციონალობის წარმომადგენელს პატივს ვცემთ, მაგრამ ჩვენ ნუ დავიჩაგრებით ჩვენს ქალაქებში და სოფლებში... ეშინია ხალხს უკვე ამაზე საუბრის, ისჯება ზოგი, ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს, აგერ, ძია ტარიელს ტელევიზიამდე არც უშვებენ, სულ რადიოშია, ესეც ბარში მაუწყებლობს მარტო...

სპარტაკი. ელენე, ვიმეორებ მეათასედ: ყველა ეს ვითომ პატრიოტულ-ნაციონალისტურ-რელიგიური თემები პოლიტ-ტექნოლოგების მიერ არის დამუშავებული სწორედ შენნაირების გამოსათაყვანებლად... ესაა სპეც-სამსახურების პროექტი... ვერ ვხვდები, როგორ ვერ ხვდები ამას?! თუმცა გასაგებია... შენ ახლა ამ ვიღაც პედო-ტარიელისტი გახდი, სწორედ ისტი, დიახ, მიმდევარი, და ეს სიყვარული გაბრმავებს...

ელენე. და თუკი სიმართლეს ამბობენ?

სპარტაკი. რომელ სიმართლეს, ელენე? რომ უცხოტომელებს ჩვენი განადგურება უნდათ? რომ ყვითელკანიანებმა წალეკეს ჩვენი ქუჩები?

ელენე. და - არა? გადი ზოოპარკის მიდამოებში... აქაურს ვეღარ ნახავ, ან რა სუნი დგას...

სპარტაკი. ეს ცხოველების სუნია, ელენე...

ელენე. და მიწებს რომ ყიდიან ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ ანტიეროვნულ კომპანიებზე?

სპარტაკი. და კიდე ჩვენ გენომს იყენებენ, რომ გადაგვაგვარონ?!

ელენე. დიახ, ძველ ერებს განსაკუთრებული გენეტიკური კოდი აქვთ და ამაზე უკვე ბევრი ლაპარაკობს...

სპარტაკი. და ჩვენი სისხლის გამოცვლაც უნდათ?

ელენე. მეხსიერების წაშლა.

სპარტაკი. სქესების გაუქმება...

ელენე. რომ აღარ იყოს "კაცი" და "ქალი". ოღონდ ჯერ სიტყვების დონეზე. იცი, როგორ მეშინია, სპარტაკ?! შენ გესმის, სადამდე მივა ეს ყველაფერი?

სპარტაკი. და კიდევ სატელიტების გამოსხივებით უნდა გვმართონ, არა? ვირუსები შეგვყარონ, დაგვხოცონ...

ელენე. მოუსმინე, თუ გინდა... "ყველა დროს თავისი აპოკალიფსისი აქვს". მე უკვე დავიზეპირე. ძია ტარიელმა თვალები ამიხილა.

სპარტაკი. ტელეფონს ამიტომ აღარ ხმაროობ?

ელენე. კიბოს აჩენს.

სპარტაკი. და ბოლოს ყველა დაიღუპება ჩვენ გარდა?

ელენე. ასე ზედაპირულად არაა.

სპარტაკი. მაგრამ ჩვენ რჩეული ერი ვართ...

ელენე. გამორჩეული ერი ვართ, სპარტაკ, შეხედე თუნდაც ოთიკოს, რისი გრცხვენია?

სპარტაკი. და მსოფლიოს ფარული ძალები მართავენ, ელენე? საიდუმლო ლოჟების წევრები? ბავშვების გულებს რომ უნერგავენ დიდი კორპორაციის ბებერ მმართველებს...

ელენე. აბა, საიდან ამდენი სტიქია, ომი, კატასტროფა?

სპარტაკი. ღმერთი გვსჯის, ელენე, თქვენი აზრით, ასე არაა?

ელენე. ღმერთი იმიტომ გვსჯის, რომ ბოროტები გავხდით, ჭეშმარიტს და ცრუს ვერ ვარჩევთ ერთმანეთისგან...

სპარტაკი. შენ, შენ ვერ არჩევ ჭეშმარიტს და ცრუს! შენ ხარ ეს კეთილი იდიოტი, ვისი იდიოტიზმიც ყველაზე დიდი ბოროტებაა ამქვეყნად! სიკეთე - არა თავის ადგილზე... არც ვიცი, როგორ ვთქვა! აი, საიდან შემომიძვრა მაცდური... აი, საიდან შემოგიჩნდა სატანა! ხომ გჯერა დემონების? აი, აქაა ეშმაკი, რომელიც შენი გულუბრყვილობიდან გგესლავს, შენი ზედაპირულობიდან, შენი აღელვებლობიდან, შენი შეყვარებულობიდან, - ოღონდ კი არ იფიქრო, ოღონდ კი ტკივილისგან დაიცვა თავი, ყველა ნაძირალა და არამზადა რომ გეყვარება... შენ შანსი გქონდა, რომ წმინდანი ყოფილიყავი, სიკეთის განსხეულება, ერთი კი არა, მშიდობის დარგში ათასი ცალი ნობელის პრემიაც რომ არ გეყოფოდა, - მართლა სანობელე ქალი, სიცოცხლეშივე ბეატიფიკაციის კანდიდატურა, მაგრამ არა, უწმინდურმა ის კარი გამონახა შენში, სადაც კრიტიკული მრისხანება არა მხოლოდ პიროვნული კუთხით, არამედ ზოგადად, ისტორიულად მნიშვნელოვანია, და ბრმა იარაღად გაქცია მანიპულატორების ხელში... ესაა პოლიტიკა, და თუ შენნაირები მილიონები იქნებიან, ბოროტება მართლა გაიმარჯვებს, კეთილი დებილების და მიმნდობი, შეყვარებული ფანატიკოსების მეშვეობით, მარტო ის რომ შეგიძლიათ, დაწამლულ ზედაპირზე იტივრივოთ ნაგავივით, და ვერც ვერავინ რომ ვერ ჩაგძირავთ, აი, ეს ბრბო, - სახლში კეთილი, მაღაზიებში მოსიარულე, სუპის გამკეთებელ-მხვრეპი და ფეხბურთის მაყურებელი, - ინდივიდუალურად წესიერი ყეყეჩები, და მასობრივად კი - ეშმაკის არმია... ყველა დიქტატორის, ყველა ისტორიული სადისტის, ყველა პოლიტიკური მანიაკის ბიო-მასა... შე მართლა ბიოსოფლელო! მეორე ადგილი სილამაზის კონკურსზე... მეთქი, ვინმე კრეტინი არ შეუყვარდეს, ეს ყველას ენდობა, და თურმე ნაციონალისტურ-პოპულიზმთან მღალატობს... სიკეთის სიდებილე! ყველაზე დიდი უბედურება! რა დავაშავე? რა დავაშავე!

ელენე. *(ეტირება)* რა დაგემართა, სპარტაკ, არაფერი არ მესმის...

შემოდის ესმა.

ესმა. ხალხო, მიცვალებულია წინა კორპუსში, უხერხულია, რა გაყვირებთ...

სპარტაკი. *(ესმას მკლავებზე ავლებს ხელს. ელენეს)* ეს ჩემი საყვარელია! ეს არაა ჩემი მეგობარი! მე შენ ამასთან გღალატობ... აი, აქ, ჩვენ სახლში... მე ცუდი ვარ...

ესმა. *(სპარტაკს)* გამიშვი ხელი... გამასწრებს ავტობუსი!

სპარტაკი. *(ელენეს)* გაბრაზდი! გაბრაზდი ობიექტურად! ნუ გიყვარვარ... გაბრაზდი!

ელენე. *(ტირის)* მთელი ცხოვრება დასაყრდენს ვეძებ, რაღაცა სიმყარეს, ჩემ თავს, და შეიძლება მე შეცდომებს ვუშვებდე, არ მქონდეს სათანადო განათლება, მაგრამ ცუდი მე არავისთვის არასდროს არ გამიკეთებია... რა გინდა, სპარტაკ?

სპარტაკი. მე და ეს ქალი გატყუებთ, ელენე! მინდა რომ გაწიწმატდე, გადაირიო, შემიძულო და ფანჯრიდან გადაგვაგდო! სახლიდან გამადგო, ან შენ წახვიდე! მინდა რომ გეტკინოს და გაიღვიძო...

ელენე. სპარტაკ, აღარ გიყვარვარ?

სპარტაკი. კი, მაგრამ გღალატობ! ამასთან!

ელენე. რატომ?

სპარტაკი. იმიტომ რომ ღორი ვარ!

ესმა. მე ვარ ღორი?

სპარტაკი. მე! მე ვარ... *(ესმას)* და შენ კიდე ჩაიგდე ეს ენა! ჭკუიდან რატომ არ იშლებით? რატომ არ გიჟდებით? რატომ იზოგავთ ასე თავს?

ესმა. დასაბმელი გიჟი ხარ შენ!

სპარტაკი. აი, ეხლა ნახავ, რა ვარ... *(ესმას ხელში იყვანს)*

ესმა. გამიშვი ხელი!

ელენე. სპარტაკ, რას აკეთებ?

სპარტაკი. აი, რას...

სპარტაკი ფანჯრიდან აგდებს ესმას. ელენე შეჰკივლებს. თუმცა ცოტა ხანში ესმა ისევ ფანჯარაში ყოფს თავს.

ესმა. *(ტანსაცმელს იფერთხავს)* დეგენერატო, როგორ მიბედავ? კიდე კარგი, პირველი სართულია... მადლობა ღმერთს, ძუნწი ხარ, ათი ათასით მეტი ვერ გადაიხადე მესამე სართულში... *(უკან, ფანჯარაში ძვრება, ჩულქი ეხევა)* ჯანდაბა...

სპარტაკი ძირს ეშვება, თავზე ხელებს იკიდებს. ესმა პატარა პისტოლეტს იღებს ჩანთიდან, რომელიც ძირს დავარდნია, სანამ სპარტაკი ფანჯრიდან გადააგდებდა.

სპარტაკი. შემიძულეთ, გაიღვიძეთ, გარშემო ქაოსია და მე ვერაფერს ვერ ვცვლი... ცუდად ვარ...

ელენე. *(იჩოქებს სპარტაკის წინ)* იცი, რატომ ხარ ცუდად? იმიტომ რომ ყველას ლანძღავ, არავინ არ მოგწონს, არავინ არ გიყვარს, აი ეს ეხლა ქალიც გადააგდე ფანჯრიდან... არც შენი შვილი გიყვარს, არც მე, არც ეს ქვეყანა...

სპარტაკი. და არც საყვარელი... რატომ არ აღიარებ, რომ საყვარელი მყავს?

ესმა. *(პისტოლეტს უშვერს სპარტაკს)* რამე დაგაკელი, სპარტაკ? რა იკადრე ეს?

სპარტაკი. მესროლე! მესროლე!

ესმას პისტოლეტიდან წყალი ისხმება. სპარტაკი შეყვირებს.

ესმა. ეს შენნაირი მოძალადეებისთვის მაქვს, გაუპატიურება რომ მოუნდეთ უცებ, უპარტრონო არ ვარ, დიდი ბოდიში... არაკაცო... *(თვალებზე ასხამს წყალს, სპარტაკი იყვირებს)*

ელენე. ესმა, ტკივა!

ესმა. წყალია უბრალო... ცოტა მწველი ოღონდ. ეგ რომ გვიშანთავს გულებს, კარგია, აბა?! ჩემმა ყოფილმა ქმარმა მაჩუქა, პოლიციელი იყო, თავი ჩამოიხრჩო მერე... ვინც ჩემზე ხელს აწევს, ასე დაამთავრებს ბოლოს...

ელენე. *(ტირის)* ქმარი გყავდა, ესმა? არ ვიცოდი...

ესმა. მყავდა, კი, მაგრამ ნებით არ გავყოლილვარ, მომიტაცა. ახლა ვერ მოვყვები მთელ ჩემ ცხოვრებას, თავი არ მაქვს. კიდე კარგად ვარ ფანჯრიდან გადაგდებულობის გათვალისწინებით.

სპარტაკი. აი, ესაა ჩემი საყვარელი, ელენე, გასაუბრებაზე მოვიდა... დამლაგებლის პოზიციაზე. მეზიზღება ის დღე! ან დამლაგებელთან რა საჭირო იყო გასაუბრება... ვინ მოიგონა? "ატმისსუნიან საპონს თუ ხმარობთ უნიტაზის ხეხვის დროს?", მაგრამ ვიდეო-თვალით დავინახე, ჩემი ოთახიდან, და მე ხომ ღორი ვარ, კრიტიკული ღორი, ფხიზელი გონებით, მაგრამ ავხორცი, და, მეთქი, გავესაუბრები, და მივიწებე, ელენე... ასე დავეცი...

ესმა. მე გადავარჩინე თქვენი ოჯახი, თქვე საცოდავებო, შე მართლა ღორო პიროვნულად, თორემ წლების წინ დახოცავდით ერთმანეთს!

სპარტაკი. ელენე, იცი, რა განსხვავებაა ჩემსა და შენს შორის? *(ესმა ისევ თვალებზე ასხამს წყალს)* მაცალე, შე კახპა, დამამთავრებინე... პირში ნუ მასხამ!

ესმა. *(უყვირის)* აბა, რატომ გადამაგდე ფანჯრიდან?

ელენე. ვიცი, რა განსხვავებაცაა, სპარტაკ, ის განსხვავებაა, რომ შენ არავის არ ენდობი, და უბედური ხარ ამის გამო, ვერ ხვდები, რა ბედნიერებაა, როცა გიყვარს და ენდობი, როცა მსუბუქი ხარ, როცა გინდა, რომ შენ გარშემო ყველაფერი სამართლიანი და დიდებული იყოს, და როცა მადლიერი ხარ სამყაროსი ამ შეგრძნების გამო...

სპარტაკი. და როცა ნეომილიციელებს და ნეოაგენტურულ ქსელს ენდობი, იმიტომ რომ აღმატებულად ლაპარაკობენ ძველ დიდებაზე და საამაყო წარსულზე! ჩავუფსი წარსულში, მეზიზღებიან... და შენი ტარიელ მეურმეც მეზიზღება, და ნეტა მალე მოკვდეს შაქრიანი დიაბეტით, ხომ აქვს? და გვარი გააცხადოს, ნუ მალავს! მეურმე... ეს აგენტის ზედმეტსახელია, ან მდაბიოა, მახინჯი გვარის აქვს და რცხვენია... ტრაკაძე!

ელენე. ერთხელ მაინც ყოფილხარ ბიო-სოფელში?

სპარტაკი. ტყუილია ეს ბიოსოფელი, გატყუებენ, და მთელი ცხოვრება გატყუებდნენ, ელენე, ბავშვობიდან, დაბადებიდან, შეიგნე! გატყუებდა დედაშენი, რომ მამაშენი უყვარდა, ეს მექრთამე მართლა, გატყუებდა მამაშენი, რომ ვითომ წესიერი და პატიოსანი კაცი იყო, და ამ დროს ჯოჯოხეთურ ცეცხლში იწვის ალბათ ახლა თავისი ქრთამების გამო, გატყუებდა შენი მამიდაშვილი ნუკრი - ტაშკენტში რომ წავიდა და შენ რომ გეგონა, ამერიკაშია, ამ დროს, ნარკომანი იყო ეგ უბედური, შენი იდეალი, - რატომ გამახსენდა საერთოდ?! გატყუებდი მე... რომ ვითომ შენი ერთგული ვიყავი, რომ არ გღალატობდი, და გატყუებს ოთარიც, ჩემი მემკვიდრე, ჩემი საწყალი შვილი, რომელსაც სკოლიდან აგდებენ, და გატყუებს ეს ნაბიჭვარი ტარიელ უკანალი...

ელენე. არაა უკანალი!

სპარტაკი. არის, რადგან გატყუებს! გატყუებენ ეს ნეონაციონალისტებიც, ვითომ ქვეყანა უყვართ და ამ დროს გვღუპავენ, უფსკრულისკენ მიგვერეკებიან, და შენ ყველასი გჯერა, ვინც ასე უპასუხისმგებლოდ გიყვარს! შენ ანტროპოლოგიურად, სქესობრივად მოტყუებული ხარ, რადგან დებილი ხარ, და თან მსხვერპლი, ოღონდ საშიში, და, მართალია, მე კი ვარ პიროვნულად, მორალურად ცუდი და უვარგისი, მაგრამ შენ ისტორიულად, ევოლუციისთვის შეუსაბამოდ ცუდი და საშინელი ხარ, რადგან შენზე გარეგნულად ზემოქმედებენ ბნელი ძალები, ინსტრუმენტად გიყენებენ და ამიტომ არანაირი აზრი არ აქვს, უცოდველი ხარ თუ არა შინაგანად, და მე კი ცოდვილი ვარ შინაგანად, დიახ, და კრიზისიც მაქვს, და შეიძლება გავგიჟდი, მაგრამ ჩემზე ზემოქმედება შეუძლებელია, რადგან მე ისტორიის მართებულ მხარეს ვარ, ჩემი მინუსებით, იმიტომ რომ კრიტიკულად ვაზროვნებ, სკეფტიკური ვარ, შენ კი იღუპები ისტორიულად, რადგან არ აზროვნებ, ელენე!

ელენე. *(ისევ ტირის)* მე იდეალს ვეძებ, რაც თქვენ დაკარგეთ! ეს პოეზიაა, სპარტაკ...

სპარტაკი. და სად იპოვე ეს პოეზია? ან რა გემოვნება შენ გაქვს? ცრემლები რომ მოგდის გარითმულ სადღეგრძელოებზე... სად ეძებ ამ იდეალს? ბიოსოფელში თუ მილიციელების მიტინგზე: "არ ვაჭამოთ ჩვენი ლობიო ყვითელკანიანებს!"

ელენე. ეს პარანოიაა, სპარტაკ, უნდა ენდო სამყაროს!

სპარტაკი. ეს სიტყვა ვინ გასწავლო, უწიგნურო, ტარიელ სფინქტერმა?

ელენე. ტარიელ მეურმე ქვია მაგას...

ესმა. *(ელენეს)* ეჭვიანობს ეს საცოდავი... *(ისევ "ესვრის", თუმცა პისტოლეტიდან წყალი არ გამოდის)*

სპარტაკი. ყველას თქვენ-თქვენი მიზანი გაქვთ და საშინლად პატარა თვალსაწიერი... აი, ნაჭუჭში ხართ ყველა, ასანთის კოლოფებში ხართ შემძვრალი, ჩარჩოებში და ვერ ხვდებით, რომ სამყარო შეიშალა, ქარიშხალს ვერ გრძნობთ...

ოთახში ოთარი და ილია შემოდიან. ილიას პოლიეთილენის პარკი უჭირავს, რომელშიც რაღაცა დიდი და მრგვალი უდევს. სპარტაკი შეშინებული შესძახებს - ამ რაღაც მრგვალს უყურებს.

თავი!.. აქ თავია, ხალხო! *(ოთარს)* პოლიციაში დარეკე, კრეტინო!.. თავი მოაჭრა ტერეზას და მანდ ჩადო...

ილია. აი, თქვენი შვილი დაიკარგა და მე მოვიყვანე. თქვენთან მივდიოდი. ტერეზამ, წაუღე, არ ეწყინოთო...

ოთარი. არ დავკარგულვარ, სადარბაზოსთან შემხვდა. იტყუება.

სპარტაკი. ტერეზას თავი უდევს მანდ... წვეთავს, ხალხო!

პარკუჭის ძირიდან მართლაც წვეთავს.

ილია. ტერეზამ - ბოდიში უთხარიო. ცუდად ველაპარაკეო. ბოდიში.

სპარტაკი. ესროლე, ესმა! ტერორისტია ეს არანორმალური... თავი უდევს!

ესმა. რატომ ფეხი არ მომტყდა, იმ გასაუბრებაზე რომ მოვედი...

სპარტაკი. ესროლე!

ილია პარკუჭს ატრიალებს - იქიდან საზამთრო ვარდება. სპარტაკი ისევ შეყვირებს.

ელენე. ეს არაა ტერეზა...

ილია. *(იღიმება)* ალაჰი დიდია! ვითომ ზაფხულია... წაუღეო. ბოდიში, სპარტაკ.

სპარტაკი. *(ილიას)* გავიგე, პათოლოგო, თავი დამანებე! რად მინდოდა ეს საზამთრო? ეს ხომ არააქტუალურია?! *(უყურებს გაოგნებულ ელენეს და ესმას)*
რა გინდათ, თქვათ - რომ სტერეოტიპების მსხვერპლი ვარ? რომ სინამდვილეში ჩემით მანიპულირებენ? რომ მე ვერ აღვიქვამ რეალობას ობიექტურად?

ელენე. კი, ზუსტად ამის თქმა მინდოდა... რა კარგად ახსენი!

სპარტაკი. არა! ადრე თუ გვიან, ილია აუცილებლად მოაჭრის ტერეზას თავს... ან ენას ამოაჭრის! ან ტერეზა მოუგონებს რამე სასჯელს ამ საწყალს... რადგან შეუძლებელია იმას ვერ იტანდე, ვისაც დღე და ღამე უყურებ სახლში...

ოთარი. მამა, ძირს რატომ ზიხარ?

სპარტაკი. *(ესმაზე)* იმიტომ რომ ამ ქალმა მოწამლული წყალი შემასხა...

ესმა. არ იყო მოწამლული, ნაკურთხი წყალია.

ილია. ბოდიში, სპარტაკ...

სპარტაკი. *(ილიას)* ახლა თავს მოვიკლავ!.. ოთარ, უმორჩილესად გთხოვ, უთხარი დედაშენს, რომ სკოლიდან გაგდებენ... გემუდარები! თორემ ის მოღალატეების ხელშია... ყველანაირი ნიშნით... აქ მთელი პალიტრაა ფსიქოტიპაჟების... ოთარი - დაბნეული მოზარდი, პრობლემური მშობლებით, არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერით და ბუნდოვანი მომავლით, ნამდვილ წარმატებას რომ ვერ ეღირსება ვერასდროს, რადგან არც ჩვენ ვუწყობთ ხელს, არც ქვეყანა, არც დრო და არც ნიჭი, აი ასე რომ დაბერდება ჩემსავით, ოღონდ მე სიმპათიური მაინც ვარ, ლამაზი ცოლი მაინც შემხვდა... ესმა - ეს განუვითარებელი მომხმარებელი, ვითომ რომ გემსახურება და სინამდვილეში თვითონ გხმარობს, აფთარი სულით, უბინაო ვირეშმაკა, ქალაქში აღმოცენებული სოფლის ბაქტერია - "ეხლა ამას გადავიფორმებ", და ელენე, ჩემი სულელი ელენე - პატრიარქალური კულტურის მიერ დამორჩილებულ-გამოთაყვანებული უსარგებლო დეკორატიული ყვავილი, ოთახის მცენარე... და ბოლოს მე - ნევროზით და შფოთვებით გატანჯული მარტოხელა თვითმგვემი, პრობლემას რომ ვხედავ ყველგან და ვერაფერს ვაკეთებ, რომ რამე შევცვალო, მხოლოდ მხილება, რეფლექსია, აზროვნება და ტანჯვა, ფაციფუცი, ხელების ქნევა ამღვრეულ ზღვაში, და ისტერიკა, რომელიც წესით ყველაზე გულწრფელი და მართალი შინაგანი მდგომარეობაა დღევანდელობისთვის... რას გავხართ?! *(ელენეს)* უშნო!

ელენე. უშნოც ვარ?

სპარტაკი. არა, უბრალოდ არ მინდა, რომ ჩემი გჯეროდეს! და ეს ყველაფერი ამ ერთი წინადადების თქმის გამო ხდება... ან ამ ერთი წინადადების თქმის შეუძლებლობის, გესმის?!

ელენე. არა...

სპარტაკი. მე მინდა, რომ ეს კრიზისი გადავლახო, ჩემი ნევროზი მხოლოდ ამის შედეგია... ამდენ ხანს რომ გატყუე. და სადამდე დავეცი კულტურის ხარისხის დონით... მე სინდისი მკლავს, ელენე, გამიგე... და შენი უპირობო სიყვარული...

ესმა. გაპატია, ნუ შეგვჭამე შენც კიდე! *(ოთარს)* დაჭერი, შვილო, ეს საზამთრო...

სპარტაკი. *(ელენეს)* ნევროზი აუცილებელია, ელენე, ნევროზი სამართლიანს გხდის საკუთარი თავის და სამყაროს მიმართ! ვერაფერს ცვლი, მაგრამ მიწაში მაინც არ გაქვს თავი ჩაყოფილი სირექლემასავით... თქვენ კიდე ყველანი სირაქლემები ხართ - სამყარო ყანყალებს, ჩვენი სულები შემზარავი შეცდომებისგან იწვის და თქვენ კიდე სისულელეებზე ღელავთ: ბიოანუსი, სკოლის გაცდენა, ბოდიშის შემოთვლა ჩვენთვის ზედმეტი გულწრფელობის გამო ტერეზას თავის მსგავსი საზამთროთი, დამლაგებლობის მეშვეობით ურბანისტულ გარემოში დამკვიდრების შესაძლებლობა... რა გამოწვევები გაქვთ, ხალხო? რაზე ღელავთ? ეს ყველაფერი

სისულელეა... ელენე, რით ვეღარ უნდა განსაზღვრო პრიორიტეტი, რაზე უნდა ინერვიულო და რაზე არა?! კი, მე მაწყობს მყავდეს ცოლად სირაქლემა, მაგრამ ჩემ სინდისს ეს არ მოწონს...

ესმა. არაა ეს კაცი ჯანმრთელად!

სპარტაკი. ელენე, შენ სირაქლემა ხარ!

ელენე. სირაქლემას ვგავარ? მადლობა...

სპარტაკი. არა, შინაგანად ხარ სირაქლემა... მთავარი, ძირეული, ნამდვილი პრობლემის დანახვა რომ არ უნდა, იმით, რადგან ამის გადატანის ძალა არა აქვს... ოღონდ რეალური კატასტროფა არ შეიმჩნიოს და ყველა გამოგონილ კატასტროფას ირწმუნებს, თითიდან გამოწოვილ პრობლემას - როგორ გვყლაპავენ ყვითელკანიანები და რა ბოროტმოქმედები მართავენ პლანეტას კულისებიდან, - და იმას ვერ ხედავს, რომ ქმარს საყვარელი ყავს, და შვილის სასკოლო IQ საშუალოზე დაბალ ნიშნულს არ სცდება... რაღა ეს საწყალი ილია და რაღა ოთარი!

ოთარი. მამა, გცემ!

სპარტაკი. არა... ეს დაგანგრევს მორალურად. მთელი ცხოვრება ტრავმად გაგყვება. მე ახლა ადამიან-სირაქლემას ვამხელ...

ესმა. შენ ხარ კაცი-გომბეშო, აი ვინ ხარ შენ!

სპარტაკი. ასეთ სირაქლემებს ყველაზე ეფექტურად იყენებენ მატყუარა ბიოფსიქოლოგები: მოუგონებენ რაიმე პრობლემას, რათა ჭეშმარიტი პრობლემიდან ხელოვნურზე გადაუტანონ ყურადღება და შემდეგ ჩვენ საწინააღმდეგოდ, თვითკრიტიკულობისკენ მიდრეკილ, სულიერად დალაქავებული, მაგრამ გონებით ფხიზელი მოქალაქეების წინააღმდეგ აქეზებენ! მაგრამ მე მინდა სირაქლემამ მიწიდან თავი ამოყოს და გავთავისუფლდეთ... სიბრმავისგან, შეცდომებისგან, სიშტერისგან, მოწამლული სიყვარულისგან, და გამოგონილ პრობლემებში არ დავემალოთ ნამდვილ პრობლემას, სირაქლემა-ელენე, მიპასუხე, ხომ გჯერა, რომ ეს ქალი ჩემი საყვარელია? ხომ გჯერა...

ელენე. არა, სპარტაკ, აღარ მჯერა...

სპარტაკი. ეს განწმენდის პროცესია, ელენე... ახლა უკეთ გავხდებით. ეს კათარზისია... როგორ არ გჯერა, როცა ეს ფაქტია? ჩემი აღარ გჯერა?

ელენე. ჰო, შენი აღარ მჯერა, სპარტაკ.

სპარტაკი. *(უეცრად მშვიდდება)* მოიცა, რატომ? ბოლოს და ბოლის, მგონი მართლაც მივადექით რაღაც მნიშვნელოვანს...

ელენე. მე ხომ მარტო იმის მჯერა, ვინც მიყვარს...

სპარტაკი. ჰო, ვიცი... მერე?!

ესმა. რაღა მერე, იდიოტო, აღარ მიყვარხარო, ქალმა, მეტი როგორ გითხრას?! ხომ უძახე ამდენი... აგერ, ამოყო თავი.

სპარტაკი. *(ელენეს)* ანუ მაინც და მაინც მაშინ გადაგიყვარდი, როცა სიმართლე გითხარი? ჩვენი ბედნიერებისთვის ტყუილი ჯობდა?

სპარტაკი მომლოდინედ უყურებს ელენეს. ელენეს შესაძლოა სწორედ ახლა უნდოდეს არცთუ სასიამოვნო, მაგრამ მისი ცნობიერი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საუბრის წამოწყება, რაც ბოლოს და ბოლოს იმგვარ გულწრფელ, ფხიზელ და ალბათ მტკივნეულ შეგრძნებებს გამოუცოცხლებდა, რომელიც მხოლოდ გამაჯანსაღებელმა მრისხანებამ შეიძლება გამოაღვიძოს ადამიანში.

ფარდა

2020, ივლისი-ავგისტო